

დედანი: ინგლისური
თარგმანი: ქართული

ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო

*ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და
ენობრივ საზოგადოებაში დანერგვა*

გაერთიანებული ერების განათლების,
მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო)

პარიზი 2005

დედანი: ინგლისური

(CI-2005/WS/4)

ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო

*ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და
ენობრივ საზოგადოებაში დანერგვა*

მომზადა ინფოტერმა

2005

გაერთიანებული ერების განათლების,
მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო)

წინამდებარე გამოცემის მასალასა და მასში გამოყენებულ დასახელებებში არ იგულისხმება იუნესკოს თვალსაზრისი რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქისა და რაიონის ან მათი ხელისუფლების იურიდიული სტატუსისა თუ საზღვრების დადგენის შესახებ.

Recommended catalogue entry:

Guidelines for Terminology Policies. Formulating and implementing terminology policy in language communities / prepared by Infoterm. – Paris: UNESCO, 2005. – ix, 39 p.; 30 cm. (CI-2005/WS/4)

I Title
II UNES

წიგნი ქართულ ენაზე გამოსაცემად მოამზადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა და საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციამ

მთარგმნელი: ზაალ კიკვიძე

ქართული ტექსტის სარედაქციო საბჭო:

ნინო დათეშიძე, თეონა ლაფაური, ნათელა მუზაშვილი, მარინე ოსაძე,

ლია ქაროსანიძე, ინგა ჯიბუტი, რუსუდან პაპიაშვილი (ტექნიკური რედაქტორი).

The Georgian translation is prepared by
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics
and Vukol Beridze Association for Terminology of Georgia.

თბილისი 2021

მოკლე შინაარსი

წარმოდგენილი „სახელმძღვანელო დებულებები“ განკუთვნილია გადაწყვეტილების მიღებ თანამდებობის პირთათვის, რომელთაც სხვადასხვა მიზნით სურთ ისეთი ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართულია გარკვეული საზოგადოებისათვის ტერმინოლოგიის შექმნის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების გონივრულ, თანმიმდევრულ და მართვად მიდგომაზე.

ტერმინოლოგიის დაგეგმვას სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეროვნულ, რეგიონულ, ენობრივი საზოგადოების, ადგილობრივი მოსახლეობის, ინსტიტუციურ თუ საორგანიზაციო დონეზე. ტერმინოლოგიის დაგეგმვის მხრივ მრავალი სამუშაო მიმდინარეობს სხვადასხვა დარგშიც, როგორებიცაა: ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, მედიცინა და მისთანანი. ამასთანავე, ტერმინოლოგია სტანდარტიზაციასა და შესაბამისობის დადგენასთან (ჰარმონიზაციასთან) დაკავშირებული თითქმის ყველა საქმიანობის შემადგენელი ნაწილია, იქნება ეს მრეწველობა თუ სხვა. ამას გარდა, კანონმდებლობაში თითქმის ყოველთვის მრავლადაა ტერმინოლოგიური განმარტებები; ძველი გამონათქვამისა არ იყოს: „ვერ მოაწესრიგებ იმას, რაც არ გესმის,“ ანუ „...რაც განუმარტავია“.

ტერმინოლოგიის პოლიტიკის, ანუ სტრატეგიის, შემუშავებისას, განსაკუთრებით, როცა იგი იგეგმება და იწერება მთელ სახელმწიფოში, უნდა გავითვალისწინოთ დაგეგმილი ზომების წარმატებისთვის აუცილებელი რთული გარემოებანი:

- დემოგრაფიული;
- კულტურული, ეთნოლინგვისტიკური და გეოლინგვისტიკური;
- სოციოფსიქოლოგიური,

ეს გარემოება დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს, რაც უნდა გაითვალისწინოს ყველა იმ ეთნიკურმა თუ ენობრივმა საზოგადოებამ, რომელთაც სურთ ტერმინოლოგიის დაგეგმვა სხვადასხვა მიზნით.

ტერმინოლოგიის დაგეგმვას უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ვხვდებით:

- ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეებზე;
- სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებში;
- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- მსხვილ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მათ შორის, საერთაშორისო საწარმოებში).

ეს გამოვლინდა:

- ენობრივ საზოგადოებაში, მაგ., დარგობრივი ენის შემუშავებისას;
- ცალკეულ სფეროებში (ე.ი. სხვადასხვა დარგსა თუ საქმიანობაში), მაგ., კვლევისა და განვითარების ხელშეწყობაში და ამ ბოლო დროს
- ელექტრონული ბიზნესის, მობილური ტელეფონით ურთიერთობაში, ელექტრონული სწავლების, ელექტრონული ჯანდაცვის, ელექტრონული მეცნიერების, ელექტრონული მმართველობისა და სხვა ე.წ. ელექტრონულ საქმიანობაში.

სტრატეგიის დონეზე, საგანმანათლებლო თუ სხვა სამოქმედო გეგმის მსგავსად, აღიარებულია ტერმინოლოგიის დაგეგმვის, განსაკუთრებით კი ტერმინოლოგიის პოლიტიკის, დადებითი შედეგი ინფორმაციის, ცოდნისა და სიახლეების მხარდაჭერის თვალსაზრისით. ქვეყნებსა და ენობრივ საზოგადოებებს კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად გაცნობიერებული აქვთ გეგმაშეწონილი ტერმინოლოგიური პოლიტიკის (მათ შორის, ტერმინოლოგიის დაგეგმვის სტრატეგიის) შემუშავების სულ უფრო მეტი საჭიროება. ეს მისწრაფება ემთხვევა იმ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც დღევანდელ დაჩქარებულ გლობალიზაციას (გასაყოველთაოებას) უნდა ახლდეს დაჩქარებული ადგილობრივი მოვლენები, ანუ თარგმნა და დანერგვა უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ კულტურულ და ენობრივ ნორმებს.

სიტყვათშემოკლებები

- CSCW – (net-based) computer supported co-operative work (ქსელური) ერთობლივი მუშაობა კომპიუტერის მეშვეობით
- GPL – general-purpose language საერთო მოხმარების ენა
- HLT – human language technology ადამიანის ენის ტექნოლოგია
- ICT – information and communication technology საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია
- IGO – intergovernmental organization სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია
- LP – language planning ენის დაგეგმვა
- LSP – language for special purposes (see SPL) დარგობრივი ენა
- MCC – mobile computing and communication მობილური კომპიუტერიზაცია და კომუნიკაცია
- NGO – non-governmental organization არასამთავრობო ორგანიზაცია
- NLP – natural language processing ბუნებრივი ენის დამუშავება
- NPO – non-profit organization არასამეწარმეო ორგანიზაცია
- SPL – special purpose language or specialized language (LSP) დარგობრივი ენა
- STI – scientific-technical information სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია
- TDB – terminology database ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზა
- TMS – terminology management system ტერმინოლოგიის მართვის სისტემა
- UN – United Nations გაერთიანებული ერები

წინათქმა

არსებობს მრავალი წამოწყება, რომელთა მიზანია ყურადღების გამახვილება ტერმინოლოგიის განვითარების მნიშვნელობაზე. ადგილობრივ დონეზე ამის შესანიშნავი მაგალითია *„ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“* (1992), რომელშიც შესულია ტერმინოლოგიის საკითხები და გამახვილებულია ყურადღება კულტურისა და ენების მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე. ქარტიაში აღიარებულია, რომ სახელმწიფო ენების სტატუსის შენარჩუნებასთან ერთად უმცირესობათა ენების დაცვა და წახალისება სავსებით შესაძლებელია.

2000 წლიდან იუნესკო სულ უფრო მეტად იღვწის ენის როლის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, რათა დაიძლიოს ციფრული უთანასწორობა და ჩამოყალიბდეს მცოდნე საზოგადოება. ციფრული უთანასწორობა თითქმის შეესაბამება ინფორმაციისა და ცოდნის წვდომის უთანასწორობას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ენის წვდომის უთანასწორობის საკითხთან. ენის წვდომის უთანასწორობაში კი შეუსაბამო ტერმინოლოგიას ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უჭირავს და ამის შედეგია „გაუნათლებლობა“ ინფორმაციის წვდომისა და კომპიუტერების გამოყენების მხრივ. იუნესკოს დარგთაშორისმა და მრავალდარგოვანმა პროგრამა Initiative B@bel-მა აღიარა კულტურისა და ენათა მრავალფეროვნების მნიშვნელობა ინტერნეტის ეპოქაში, რაზეც გამახვილდა ყურადღება *„კულტურული მრავალფეროვნების საყოველთაო დეკლარაციაში“* (2001).

იუნესკომ ასევე ხელი შეუწყო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფდა ელექტრონული მასალის მსოფლიო მასშტაბით ხელმისაწვდომობას ყველა ენაზე, მომხმარებელთა უნარების გაუმჯობესებასა და ინტერნეტის მრავალ ენაზე წვდომისათვის საშუალებების შექმნა-შემუშავებას. ამ ღონისძიებების განხორციელებას ხელი შეუწყო *„რეკომენდაციამ მრავალენოვნებისა და კიბერსივრცის საყოველთაო წვდომის ხელშესაწყობად“* (მიიღეს იუნესკოს გენერალურ ასამბლეაზე პარიზში 2003 წლის ოქტომბერში). ამ სტანდარტების განმსაზღვრელი წესების შემუშავებაზე მსჯელობისას საგანგებოდ აღინიშნა, რომ ენა არის ადამიანთა ურთიერთობის უმთავრესი საშუალება. „რეკომენდაცია“ მოიცავს ასევე ტერმინოლოგიის სხვადასხვა საკითხს, რომლებიც მრავალენოვანი ელექტრონული მასალის, დარგობრივი ურთიერთობის, ინფორმაციისა და ცოდნის განვითარებასა და ხელშეწყობას უკავშირდება.

საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტის თაოსნობით წამოწყებული ღონისძიების ფარგლებში იუნესკომ თანმიმდევრულად გამოარჩია ენობრივი და, განსაკუთრებით, მრავალენოვნების საკითხები, როგორც კულტურული მრავალფეროვნების, ინფორმაციისა და ცოდნის საყოველთაო წვდომის უმთავრესი მხარე. განათლებაში, მეცნიერებასა და კულტურაში ტერმინოლოგიის განვითარება განათლებული საზოგადოების წინსვლის საწინდარია.

დღეს მოქმედი ენების რიცხვის შესახებ სხვადასხვა მონაცემი არსებობს, მაგრამ საშუალო რაოდენობა 6000-იდან 7000-ამდეა (თუ არ ჩავთვლით ურიცხვ დიალექტსა და ადგილობრივ

ნაირსახეობას). ემპირიულ მონაცემთა განუწყვეტელი ზრდა გვიჩვენებს, რომ არსებობს კრიტიკული დამოკიდებულება იმისადმი, თუ რა შესაძლებლობები აქვთ ცალკეულ პირებს თავიანთი დედაენის სრულფასოვანი გამოყენებისათვის კულტურულ, სამეცნიერო და კომერციულ სფეროებში და როგორია შესაბამისი ენობრივი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ყოფა. ზარალდებიან ის ადამიანები, რომელთა დედაენა არ არის (ან არასაკმარისადაა) განვითარებული ტერმინოლოგიისა და დარგობრივი ენის თვალსაზრისით ან არ ეძლევათ საშუალება, რომ საკუთარი დედაენა გამოიყენონ სწავლა-აღზრდისას, ინფორმაციის მისაღებად, საურთიერთოდ სამუშაო ადგილას.

განსაკუთრებით მცირერიცხოვანმა ენობრივმა საზოგადოებებმა (ყველა სახის ენობრივი უმცირესობის ჩათვლით) მათ გარშემო მყოფ უფრო მოზრდილ ენობრივ საზოგადოებებზე მეტი ძალისხმევა უნდა გამოიყენონ, რათა არ ჩამორჩნენ სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ-სამრეწველო განვითარებას, რამაც საბოლოოდ, შესაძლოა, სოციალურ-ეკონომიკურ დაკნინებად მიგვიყვანოს. ენის გამოყენება მხოლოდ ფოლკლორში ან საშინაო ენად უმეტეს შემთხვევაში განაპირობებს იმას, რომ ის შეიძლება გახდეს გამოუყენებელი პროფესიული ურთიერთობისას. იმ ენით, რომელიც ჩამორჩენილია მოცემული დარგის ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, შესაძლოა დროთა განმავლობაში შეუძლებელი გახდეს პროფესიული ურთიერთობა, ამიტომაც არსებობს ტერმინოლოგიის (უწყვეტი) დაგეგმვის საჭიროება მრავალ (ან ყველა) ენობრივ საზოგადოებაში და აუცილებელია კონკრეტული სამართლებრივი, ფინანსური და ადმინისტრაციული სამუშაოები ამ ძალისხმევის მხარდასაჭერად. ერთ-ერთი მათგანია ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელება დაზარალებულ ენობრივ საზოგადოებებში.

ამ სახელმძღვანელოს მიზანია, მეთოდოლოგიური დახმარება გაუწიოს ენის საერთო დაგეგმვის ძალისხმევაზე დამყარებული ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. იგი აგებულია ისე, რომ გამოსადეგი გახდეს ყველა ქვეყნისა და ენობრივი საზოგადოებისათვის, დაწყებული განვითარებადი ქვეყნებითა და ენობრივი საზოგადოებებით, რომელთაც ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ტერმინოლოგია აქვთ და დამთავრებული განვითარებული ქვეყნებით, რომელთაც აქვთ მაღალ დონეზე განვითარებული დარგობრივი ტერმინოლოგია, ფართოდ გაშლილი ტერმინოლოგიური მუშაობა და მოქმედი ბაზრები ტერმინოლოგიური ნაწარმოებისა და მომსახურებისათვის.

იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც თანაარსებობს და ურთიერთქმედებს ორი ან მეტი ენობრივი საზოგადოება, ტერმინოლოგიის პოლიტიკამ უნდა ასახოს არსებული ვითარება. ენების მსგავსად, ტერმინოლოგიაშიც შესაძლოა აღმოჩნდეს წინააღმდეგობრივი საკითხები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება რამდენიმე ენობრივ საზოგადოებას. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დებულებების მიღებაა შესაძლებელი ისეთი წყაროებიდან, როგორებიცაა: „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია“ (1948), „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენცია“ (1966), „ეკონომიკური, სოცი-

ალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო კონვენცია“ (1966) და გაეროს „დეკლარაცია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების შესახებ“ (რეზოლუცია 47/135; 18 დეკემბერი, 1992).

ზემოთქმულისა და იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ტერმინოლოგია განუყოფელია ინფორმაციული წიგნიერებისაგან, რომელშიც ასევე შედის დაწყებითი (ფუნქციური) წიგნიერება, მედიაწიგნიერება, ციფრული წიგნიერება, გაერომ ხელშეკრულება გააფორმა ინფო-ტერმთან, რათა შეეკრიბა ექსპერტთა ჯგუფი *„ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელოს“* შესაქმნელად. ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო დებულებები დაეხმარება გადაწყვეტილების მიმღებთა და პოლიტიკის განმახორციელებლებს ამგვარი პოლიტიკის დანერგვაში თავიანთი ქვეყნის ან ენობრივი საზოგადოების გრძელვადიანი და მტკიცე განვითარების მხარდასაჭერად. ამ გამოცემის ავტორები სხვადასხვა საზოგადოებისა და კულტურის წარმომადგენლები არიან, მათ აქვთ განსხვავებული გამოცდილება ტერმინოლოგიის პოლიტიკის მოდელის, დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით, რომლის არსიც მოკლედაა გადმოცემული ამ სახელმძღვანელოში.

ავტორები

მარიეტა ალბერტსი (სრულიად სამხრეთ აფრიკის ენის კოლეგია (PanSALB))
 ბასეი ანტია (მაილუგურის უნივერსიტეტი/ ნიგერია)
 ალბინა აუკსორიუტე (ლიეტუვა)
 გერჰარდ ბუდინი (ვენის უნივერსიტეტი/ ავსტრია)
 ნელიდა ჩანი (კანადა)
 ანია დრამე (ინფოტერმი/ გერმანია)
 კრისტინა გალინსკი (ინფოტერმი/ ავსტრია)
 ჩუანძი გუო (ჩინეთი)
 პოლ ჰექტორი (იუნესკო)
 გვი-ჰიუნ ჰონგი (კორეა)
 სერგეი პაპაევი (რუსეთის სახელმწიფო სტანდარტიზაციისა და ხარისხის კლასიფიკაციის, ტერმინოლოგიისა და ინფორმაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (VNIKI))
 მარია სესილია პრესტედ ალვარესი (კოლუმბიის ტექნიკური სტანდარტებისა და სერტიფიკაციის ინსტიტუტი (ICONTEC), ანტიოქიის უნივერსიტეტი/ კოლუმბია)
 იანოშ პუსტაი (უნგრეთი)
 ბოჰდან რიცარი (უკრაინა)
 სიუ ელენ რაიტი (კენტის უნივერსიტეტი, გამოყენებითი ლინგვისტიკის ინსტიტუტი /აშშ)

ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო

ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და ენობრივ საზოგადოებაში დანერგვა

სარჩევი

მოკლე შინაარსი	I
სიტყვათშემოკლებები	III
წინათქმა	IV
ავტორები	VII
0 გლობალიზაციის გავლენა ენაზე	1
1 ძირითადი ცნებები	4
2 ენის დაგეგმვა და ტერმინოლოგიის დაგეგმვა	6
2.1 ენის დაგეგმვა	6
2.2 ტერმინოლოგიის დაგეგმვა	10
3 ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა	18
3.1 ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება	18
3.2 ტერმინოლოგიის პოლიტიკის დანერგვა	19
3.3 ძალთა ზრდა	20
3.4 ეროვნული ტერმინოლოგიური ინსტიტუტების როლი	21
3.5 კერძო წამოწყებები	23
4 ტერმინოლოგიის პოლიტიკის მომზადება, შემუშავება და დანერგვა.....	28
4.1 I საფეხური – ტერმინოლოგიის პოლიტიკისათვის მომზადება	29
4.2 II საფეხური – ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება	33
4.3 III საფეხური – ტერმინოლოგიის პოლიტიკის დანერგვა	37
4.4 IV საფეხური – ტერმინოლოგიური მოწყობის შეუფერხებელი მუშაობა.....	39
შეჯამება	40
დანართი - სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინები	43
ლიტერატურა (რჩეული).....	46

0 გლობალიზაციის გავლენა ენაზე

ენა ადამიანთა ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა. ამასთან ერთად, ადამიანის ენა სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთობაში და უფრო მეტად ერთვება ტექნიკურ საშუალებათა კავშირშიც. ენა, რომელიც ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედეგად წარმოიშვა უკანასკნელი ათასწლეულების განმავლობაში, უაღრესად რთულ მოვლენას წარმოადგენს. ხალხური წარმოდგენების მიუხედავად, ის უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი საშუალება ინფორმაციის გადასაცემად. თავისი კულტურული განზომილებით ენა მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც საზოგადოებასთან, ისე ცალკეულ პირთან, ამიტომაც გასაკვირიც არაა, რომ დროდადრო ადამიანებს მგრძნობიარე დამოკიდებულება უჩნდებათ ენობრივი საკითხების მიმართ.

ენათმეცნიერებაში განასხვავებენ საერთო მოხმარების ენასა (ანუ ყოველდღიურ ენას) და დარგობრივ ენას (ენა სპეციალური მიზნებისათვის). ჩვენ არ უგულებელვყოფთ კულტურულ და ემოციურ განზომილებებს, თუმცა წინამდებარე დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია დარგობრივ ენაზე, რომელიც არის ძირითადი საშუალება:

- ამა თუ იმ სფეროს (ანუ დარგობრივი ან პროფესიული) საქმიანობისა;
- სპეციალიზებული (ანუ დარგობრივი ან სფეროს) ცოდნის გადმოცემისა;
- სპეციალიზებული (ანუ დარგობრივი ან სფეროს) ინფორმაციის წვდომისა.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ სხვადასხვა დარგობრივი ჯგუფის „დარგობრივი ენების“ შესახებ, რომლებსაც იყენებენ დარგის ან სხვა სახის საქმიანობაში. ამ ჯგუფების წევრები, საზოგადოდ, შეთანხმებული არიან საკუთარ ენობრივ მახასიათებლებზე, რომლებიც ნაწილობრივ უდავოდ შეესატყვისება საერთო მოხმარების ენის მახასიათებლებს. თანამედროვე საზოგადოება სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ძლიერი გავლენის ქვეშაა, შესაბამისად საერთო მოხმარების ენაც სულ უფრო მეტად ექცევა დარგობრივი ენის მძლავრი ზეგავლენის ქვეშ.

ვინაიდან მეცნიერება და ტექნიკა ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების საფუძველია, ენისა და ეკონომიკური საქმიანობის ურთიერთმიმართება, ზოგადად, თვალსაჩინოა. თანდათან მეტად აღიარებენ, რომ მოცემული საზოგადოების ენის „ფარდობითი ძალა“ დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება ამ საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაზე. ამიტომაცაა, რომ დღესდღეობით დარგობრივი ენა უფრო ნათლადაა გამოკვეთილი ენის დაგეგმვის შესახებ განხილვებსა და ენის განვითარების პროგრამებისა და პოლიტიკის განხორციელებაში. და მაინც, ენის დაგეგმვის უდიდესი სირთულის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს როგორც საერთო მოხმარების, ისე დარგობრივ ენას, შესაძლებელი და მიზანშეწონილიცაა ამ ორი მხარის გამიჯვნა, რაც საშუალებას გვაძლევს, უკეთ დაინერგოს პროგრამები და

თვალყური ვადევნოთ მუშაობის მიმდინარეობას. ასეთ შემთხვევაში ეროვნული ენის განვითარების პროგრამები მოემსახურება საერთო მოხმარების ენის განვითარებას და ითანამშრომლებს ეროვნული ტერმინოლოგიის განვითარების პროგრამებთან დარგობრივი ენის უწყვეტი განვითარების თვალსაზრისით (ძირითადად ტერმინოლოგიის დაგეგმვის გზით).

დღეს უნდა ვაღიაროთ, რომ ტერმინოლოგია უდავოდ წარმოადგენს დარგობრივი ენის ძირითად შემადგენელ ნაწილს. ტერმინოლოგია გადამწყვეტ როლს თამაშობს იქ, სადაც დარგობრივი ინფორმაცია და ცოდნა:

- გროვდება (მაგალითად, კვლევასა და განვითარებაში);
- გამოიყენება (მაგალითად, სხვადასხვა დარგის ტექსტებში);
- იწერება და მუშავდება (მაგალითად, მონაცემთა ბაზებში);
- გადაეცემა სხვას (წვრთნისა და სწავლების გზით);
- ინერგება (მაგალითად, ტექნოლოგიისა და ცოდნის გადაცემისას);
- ითარგმნება.

შესაბამისად, დღესდღეობით ტერმინოლოგიის დაგეგმვა უნდა განვიხილოთ სიახლეებისა და ინფორმაციის, ცოდნისა და ელექტრონული მასალის სტრატეგიათა ფართო პერსპექტივით. ის ენობრივი საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლებია სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია, იძულებული გახდება, გამოიყენოს რომელიმე სხვა, უფრო განვითარებული, უცხო ენა დარგობრივი ენისთვის. დღეს საზოგადოებრივი ურთიერთობები ეყრდნობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შესაბამისად, ტერმინოლოგიის უქონლობა, მართალია, ირიბად, მაგრამ უცილობლად აღმართავს ციფრულ გამყოფს, რომელიც შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს.

განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას აჩქარებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით კი ტელეკომუნიკაციისა და კომპიუტერული ტექნოლოგიის დაახლოება, რასაც ახლავს მობილური კომპიუტერული კავშირისა და კომუნიკაციის შერწყმა. რადგანაც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სულ უფრო ყოვლისმომცველი ხდება, არსებობს მათი გამოყენების ქმედითი და შედეგიანი მიდგომების აშკარა საჭიროება. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება თანდათან მცირდება, ხოლო „შინაარსიანი მასალის“ შექმნის ღირებულება და გამოყენება იზრდება. ეს უკანასკნელნი არცთუ იშვიათად „ფარულ ხარჯებს“ წარმოადგენს არა მარტო ცალკეული დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის, არამედ ენობრივი საზოგადოებებისთვისაც. აქ ტერმინოლოგია გადამწყვეტ როლს თამაშობს: ტერმინოლოგიური მონაცემები დარგობრივი ინფორმაციისა და ცოდნის განუყოფელი ნაწილია (რომელიც საერთო შინაარსის მასალის დიდ წილს მოიცავს).

ამის შედეგად ტერმინოლოგიის დაგეგმვას, მასთან დაკავშირებული ადამიანის ენის ტექნოლოგიების გეგმაზომიერ განვითარებასთან ერთად, შეუძლია უდავოდ უფრო შედეგიანი გახადოს სტრატეგიული შესაძლებლობები.

ქვეყნის განვითარების ფარდობითი დონე შეიძლება გაიზომოს მისი მოქალაქეების საშუალო უნარით, გამოიყენონ ინფორმაცია ცოდნის გადასაცემად და შესაძლებლობების განსამტკიცებლად. რადგანაც ტერმინოლოგიური მონაცემები შეადგენს ნებისმიერი დარგობრივი ინფორმაციისა და ცოდნის გამოხატვის ბირთვს, ამ მასალის არსებობა და ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური გარემოებაა. ამ სახელმძღვანელო დებულებებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ენობრივ საზოგადოებასა და ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილება ენისა და ტერმინოლოგიის დაგეგმვის ღონისძიებების განხორციელების თვალსაზრისით. აქ მოცემულია მითითებები, რომელთა მიხედვითაც დროის გარკვეულ მონაკვეთში ენის დაგეგმვა უნდა გადავიდეს თანმიმდევრულად გასიგრძეგანებულ და განხორციელებულ ტერმინოლოგიის პოლიტიკაზე, რომელიც დაკავშირებულია დარგობრივ ურთიერთობასთან.

1 ძირითადი ცნებები

ამ დოკუმენტში **ენობრივი ურთიერთობა** გულისხმობს ადამიანთა შორის ზეპირ ან წერილობით (ბგერობრივ), ან არაბგერობრივ ურთიერთობას. **დარგთაშორისი ურთიერთობა** გამოიყენება სპეციალური, ანუ სამეცნიერო-ტექნიკური ან პროფესიული ურთიერთობის აღსანიშნავად ამა თუ იმ **სფეროში**, რომელიც, პრაგმატული გაგებით, მოიცავს სამეცნიერო-ტექნიკურ საგნობრივ და ასევე ცოდნის სხვა სფეროებს. აქ **ტექნიკური ინფორმაცია** გამოიყენება არა საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გაგებით, არამედ ტექნიკური წერის ან ტექნიკური დოკუმენტირების მნიშვნელობით¹, ანუ გულისხმობს დოკუმენტების მომზადებას, რომლებიც დაწერილია დარგობრივ ენაზე ან ძირითადად შეიცავს დარგობრივი ენის ტექსტს. **ტერმინოლოგიის დაგეგმვა** ხელს უწყობს ენის განვითარებას ძირითადად დარგთაშორისი ურთიერთობების საჭიროებებისა და მოთხოვნების მიხედვით.

დარგობრივი ენა გულისხმობს ენას, რომელსაც იყენებენ სპეციალისტები და რომელშიც გამოყენებულია ტერმინოლოგია (ზოგში - მეტი, ზოგში - ნაკლები) და დარგობრივი ენობრივი წესები. დარგობრივი ენა განსხვავდება **საერთო მოხმარების** (ყოველდღიური) **ენისაგან**, ანუ იმ ენას, რომელიც, ძირითადად, ყოველდღიური მიზნებისათვის გამოიყენება ნებისმიერი ენობრივი საზოგადოების მიერ. შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახეობა (როგორცაა, მაგ., დიალექტები), რომელთა მახასიათებლები განსხვავდება ე.წ. **ენობრივი ნორმისგან**. უკანასკნელი მოიცავს ისეთ ენობრივ წესებს, რომლებიც მიჩნეულია მოცემული ენობრივი საზოგადოების საერთო ენობრივ სტანდარტად. საერთო მოხმარების ენები ცალკეული ენობრივი საზოგადოებების ენებია მაშინ, როცა დარგობრივ ენას გამოიყენებენ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები მოცემულ ენობრივ საზოგადოებაში.

ტექნოლოგიაც სულ უფრო მეტად გამოიყენება ენის მიმართ: **ენის გეგმარება (ენის ინჟინერია)** ჩამოყალიბდა სფეროდ, რომლის დანიშნულება **ზუნებრივი ენის დამუშავება** იყო. ენის გეგმარებიდან მომდინარე მის ტექნოლოგიებს ეწოდება **ადამიანის ენის ტექნოლოგიები**. მათი მეშვეობით ენის ცოდნა გამოიყენება იმ კომპიუტერული სისტემების განსავითარებლად, რომელთაც შეუძლიათ ადამიანის ენის ამოცნობა, გაგება, განმარტება და მისი ყველა ფორმის წარმოება-შემუშავება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ემსახურება იმ საშუალებების შემუშავებას, რომლებითაც შესაძლებელია ადამიანებმა უშუალო ურთიერთობა დაამყარონ კომპიუტერებთან.

ტერმინოლოგიური მეცნიერება წარმოადგენს სფეროს, რომელიც იკვლევს სხვადასხვა დარგის **ტერმინოლოგიის** წყობას, ჩამოყალიბებას, განვითარებას, გამოყენებასა და მართვას, ქმნის მეთოდოლოგიურ საფუძველს მრავალმხრივი გამოყენებისათვის. **ტერმინოლოგიური ხელსაწყოები** - ძირითადად ტერმინოლოგიის პროგრამული უზრუნველყოფა - გამოიყენება

¹ ინგლისურში technical communication-ს აქვს ომონიმური მნიშვნელობა: 1. ტექნიკური კომუნიკაცია; 2. ტექნიკური ინფორმაცია. წინამდებარე სახელმძღვანელოში გაკეთებული შენიშვნა ამის ასახსნელადაა.

ტერმინოლოგიური მონაცემების ამა თუ იმ სახით დასამუშავებლად. მაგალითად, **ტერმინოლოგიის მართვის სისტემები** შექმნილია ისეთ საშუალებად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ტერმინოლოგიური მონაცემების, ჩაწერა, შენახვა, დამუშავება და გამოქვეყნება აღიარებული პროფესიული დებულებების მიხედვით. ეროვნული **ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზა** შეიძლება შეიცავდეს ერთენოვან და მრავალენოვან ტერმინოლოგიურ მონაცემებს და ჩამოყალიბებული იყოს ქვეყნის, ენობრივი საზოგადოებისა თუ ადგილობრივ დონეზე, შესაბამისი საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე. ტერმინოლოგიის დაგეგმვაში, განსაკუთრებით ეროვნული ტერმინოლოგიის პოლიტიკის ფარგლებში, ამ პოლიტიკის განსახორციელებლად ეროვნული ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზა გამოიყენება, როგორც ერთ-ერთი მთავარი საშუალება. ტერმინოლოგიის ძირითადი მონაცემთა ბაზების შექმნა შედეგიანი სამოქმედო გეგმა კომპანიებისათვის და სხვა ორგანიზაციებისა თუ დაწესებულებებისათვის, თუმცა ტერმინოლოგიის მონაცემთა დიდი ბაზების ნაცვლად ასევე გამოიყენება ტერმინოლოგიის გადანაწილებული და ფედერალური ბაზებიც.

ტერმინოლოგიური საქმიანობის შედეგად შეიძლება მივიღოთ **ტერმინოლოგიური ნაწარმოები**: ტერმინოლოგიური სტანდარტები, დარგობრივი ლექსიკონები, გლოსარიუმები, ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზები და ა.შ. ტერმინოლოგიური ნაწარმოები და **ტერმინოლოგიური მომსახურება**, როგორებიცაა: კონსულტაცია და სწავლება, ტერმინოლოგიური ინფორმაცია და დოკუმენტირება, ტერმინოლოგიური მუშაობის გარემომსახურება, საინფორმაციო მომსახურება და ა.შ. ჩვეულებრივ ეროვნული ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელების საშუალებად გამოიყენება. მაღალგანვითარებული ტერმინოლოგიური საქმიანობის ენობრივ საზოგადოებებში ტერმინოლოგიური ნაწარმოები და მომსახურება განკუთვნილია **ტერმინოლოგიური ბაზრისათვის**, რომელსაც შეადგენენ ტერმინოლოგიური ნაწარმოებისა და საქმიანობის მომხმარებლები და მიმწოდებლები.

ეროვნული ტერმინოლოგიის პოლიტიკა წარმოადგენს სამოქმედო გეგმას (სტრატეგიას), რომელიც შემუშავებულია პოლიტიკური გადაწყვეტილების დონეზე ქვეყანაში ან მეტ-ნაკლებად ავტონომიურ ენობრივ საზოგადოებაში (ერთი ქვეყნის ფარგლებში ან რეგიონში, რომელიც ორი ან მეტი ქვეყნის საზღვრებს მიღმა ვრცელდება); მისი ამოცანაა, განავითაროს ან მართოს ახლად გაჩენილი და უკვე არსებული ტერმინოლოგია განსხვავებული მიზნების გათვალისწინებით. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფს სჭირდება ისეთი ტერმინოლოგიური მასალა, რომელსაც ახასიათებს სხვადასხვა ხარისხის სირთულე და თავისებურებანი, ამიტომაც უაღრესად ეკონომიურია, რომ თავიდანვე მომზადდეს მრავალმხრივი ტერმინოლოგიური ბაზა, რომელიც განკუთვნილი იქნება სხვადასხვა მომხმარებლისა და მიზნისათვის. ასევე გონივრული იქნება, თუ ტერმინოლოგიის ეროვნულ პოლიტიკას თავიდანვე განვიხილავთ, როგორც მრავალენოვანსა და ყოველმხრივს. ზემოთქმული ასევე ეხება ტერმინოლოგიის პოლიტიკასა თუ სამოქმედო გეგმას კერძო ნაწილში, როგორებიცაა: საწარმოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.

2. ენის დაგეგმვა და ტერმინოლოგიის დაგეგმვა

ამ თავში შეპირისპირებულია ენის დაგეგმვა და ტერმინოლოგიის დაგეგმვა, რომელიც დღესდღეობით დამატებით საქმიანობად იქცა. ორივე სფეროში ასახულია მრავალი კრიტიკი- უმი, მათ შორის: პოლიტიკური გარემო და ენის გამოყენების ისტორიული წარმომავლობა, სო- ციალურ-ეკონომიკური ვითარება, გეოლინგვისტიკური საკითხები, დემოგრაფიული, კულ- ტურული და ფსიქოლოგიური გარემოებანი, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი როლი, როდესაც განვიხილავთ დაინტერესებულ მხარეებს (ინსტიტუტების ჩათვლით) და მათ ერ- თმანეთთან ურთიერთობას.

2.1 ენის დაგეგმვა

რადგანაც წინამდებარე „სახელმძღვანელო დებულებების“ მთავარი საკითხი ტერმინო- ლოგიის დაგეგმვაა, აქ წარმოგიდგენთ ენის დაგეგმვის თეორიის მხოლოდ მოკლე შესავალს. განსაკუთრებულად უნდა გამოიკვეთოს ტერმინოლოგიის ადგილი ენასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ენის დაგეგმვის ზოგად საკითხებს მიემდგნა იუნესკოს მიერ მომზადებული რამდენიმე გამოცემა.

2.1.1 ენის დაგეგმვის თეორიის მიმოხილვა

შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა ენის დაგეგმვის ან მისი შესაძლებლობის შესახებ. გადელიი (1999) ასე ხსნის და მხარს უჭერს ენის დაგეგმვას:

„საზოგადოება ვითარდება და ენამ ფეხი უნდა აუწყოს არსებულ სინამდვი- ლეს. მიიღება პოლიტიკური გადაწყვეტილებები და ეს შესაძლოა ისეთი ახალი საზოგადოებების შექმნასაც ნიშნავდეს, რომელთაც არ ექნებათ საერთო ენა. ასეთ შემთხვევებში ენის დაგეგმვა სასურველი და, მართლაც, აუცილებელია“.


მეცნიერების ისტორია უხვ თვალსაჩინო მასალას გვაწვდის ენის ბუნებრივ განვითარე- ბაში მეტ-ნაკლებად წარმატებული ჩარევის შესახებ. რადგანაც ეს ჩარევა არსებულ ბუნებრივ ენებს უკავშირდება, საუბარი ეხება „ენის დაგეგმვას“. ენის დაგეგმვას ადრე უწოდებდნენ გლოტოპოლიტიკას, ენის გეგმარებას (ენის ინჟინერიას), ენის რეგულირებას ან ენის განვითა- რებას. კუპერმა (1989) ერთმანეთს შეადარა თორმეტი განმარტება და საბოლოოდ წარმოგვიდ- გინა საკუთარი ვერსია:

„ენის დაგეგმვა ეწოდება წინასწარგანზრახულ ძალისხმევას სხვების ქცევაზე ზე- გავლენის მოსახდენად მათი ენობრივი კოდების ათვისების, სტრუქტურის ან ფუნქცი- ური გადანაწილების თვალსაზრისით“.

კუპერი თვითონვე ამბობს, რომ მან საგანგებოდ შეარჩია ვრცელი განმარტება, რათა თავიდან აეცილებინა ხელისუფლების მმართველობასთან, სპეციალურ სამიზნე ჯგუფებთან ან რომელიმე საგანგებო მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

დღესდღეობით ენის დაგეგმვა მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ეს ახალი სიტყვებისა და ტერმინების შექმნა და მართლწერის წესების შემუშავებაა. მასში შედის ენის, როგორც ადამიანთა არსებობის უმთავრესი ნაწილის, მიმართ ფრთხილი მიდგომა და მოიცავს მრავალ სოციოლინგვისტიკურ გარემოებას. ენის დაგეგმვა ასევე მოიცავს მეთოდებისა და მიდგომების ერთობლიობას, მათ შორის, ტერმინოლოგიასა და ლექსიკოგრაფიას, ტერმინოლოგიის მართვას, თარგმანს, თარგმანის მართვასა და სულ უფრო მეტად კორპუსულ მიდგომებს (ტერმინების ამოკრებას, სამეტყველო საზოგადოებებში შექმნილი ნეოლოგიზმების გამოვლენის კორპუსულ ანალიზს და ა.შ.). ამ შემთხვევაშიც სულ უფრო მეტად გამოიყენება ადამიანის ენის ტექნოლოგიები.

ტერმინი **ენობრივი ურთიერთობის დაგეგმვა** გულისხმობს ენის დაგეგმვასა და ადამიანებს შორის ენობრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დაგეგმვით საქმიანობას. ვიწრო მნიშვნელობით, ის უფრო მეტად ენასთანაა დაკავშირებული, ფართო მნიშვნელობით კი ორგანიზაციული, ტექნიკური და მოწყობითი ღონისძიებაა. ქვემოთ მოცემული ნახ. 1 წარმოგვიდგენს ენობრივი ურთიერთობის დაგეგმვას, როგორც ზოგად ტერმინს ენისა და ტერმინოლოგიის დაგეგმვის აღსანიშნავად.



ნახაზი 1: ენობრივი ურთიერთობების დაგეგმვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნების მიმოხილვა

ეს ნახაზი ასევე წარმოგვიდგენს ამ ცნებებს შორის არსებულ მიმართებებს. საერთო მოხმარების ენის ქვემოთ ჩამოთვლილია ნაწილები, რომლებიც კორპუსის დაგეგმვის კლასიკური განმარტებაა ნაწილობრივ. კორპუსის დაგეგმვაში შედის ისეთი სამუშაოები, როგორებიცაა: მართლწერის წესების შექმნა ან რედაქცია, დამწერლობის არჩევა, სიტყვის წარმოთქმის დადგენა, ლექსიკისა და ტერმინოლოგიის გავრცელება, ცვლილებები გრამატიკის აგებულებაში, დიალექტიზმების შემცირება, ქრესტომათიებისა და სახელმძღვანელოების შექმნა წერა-კითხვის ხელშესაწყობად, ლექსიკონების, გრამატიკისა და დარგობრივი ენებისათვის გამარტივებული გლოსარიუმების შედგენა, მხატვრული ლიტერატურის შექმნა და ხელოვნების მხარდაჭერა, ასევე, ენობრივ საკითხებზე მომუშავე დაწესებულებების დაარსება. მაგრამ ენის დაგეგმვა ასევე გულისხმობს სტატუსის დაგეგმვის საკითხებს, ანუ ენის გადანაწილებას საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (ბიზნესში, განათლებაში, სასამართლოში, ადმინისტრაციაში, მედიაში და ა.შ.).

2.1.2 ენის დაგეგმვის საჭიროება

ენის დაგეგმვა და ენის დაგეგმვის პოლიტიკის განხორციელება შეიძლება განაპირობოს შემდეგმა გარემოებებმა:

- მრავალენოვნებამ: ისლანდიის მსგავსად, მხოლოდ ძალიან ცოტა ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ არსებითად ერთენოვანია, მაშინ, როცა მრავალენოვნება ნორმას წარმოადგენს ქვეყნების უმრავლესობისათვის მსოფლიოში. ადამიანის უფლებების შედეგიანი დაცვისათვის ოფიციალურად ერთენოვანმა ქვეყნებმა კი უნდა გაითვალისწინონ სხვა ენობრივი ჯგუფების არსებობა, რომლებიც უმცირესობის სტატუსით სარგებლობენ ამ სახელმწიფოს ფარგლებში. მრავალი ქვეყანა, რომლებიც გადაწყვეტს, ორი ან მეტი ენა გამოაცხადოს ურთიერთობის ოფიციალურ საშუალებად, ჩართულია ენის სისტემატურ დაგეგმვაში და მაინც, კონსტიტუციებში ხშირად არ არის გარკვევით გაცხადებული, რომელი ენებია აღიარებული. გარდა ოფიციალურად აღიარებული ენებისა, შესაძლოა, სხვა ენებიც გამოიყენებოდეს განათლებასა და სხვა დარგებში ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით;
- განათლებამ: დედაენაზე მიღებული დაწყებითი განათლება, რომელიც აღიარებულია იუნესკოს მიერ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, კვლავაც არ არის ხელმისაწვდომი მილიონობით ბავშვისათვის მთელ მსოფლიოში, რადგან მათ სწავლების ადრეულ საფეხურზევე უცხო ენაზე ასწავლიან. ხშირად სწავლების ენად დედაენის გამოყენებლობა შედეგად გვაძლევს იმას, რომ ძალიან ბევრი ბავშვი ტოვებს სკოლას წერა-კითხვის ცოდნის გარეშე;

- საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ უფრო მეტად გვაქვს იმის საჭიროება, რომ გაიდოს ხიდი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებულ ციფრულ წყალგამყოფს შორის. ენის დაგეგმვის გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს ყველგან ენის განსავითარებლად, მისი ელექტრონულ მედიაში გამოყენების მიზნით, მაგალითად, ადამიანის ენის ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით.

ამ გარემოებათა გარდა, ენა (განსაკუთრებით, მრავალენოვან საზოგადოებაში) ბუნებრივ სიმდიდრეს ჰგავს და, შესაბამისად, სახელმწიფოსა და ხალხის კეთილდღეობის საფუძველია. ამიტომაც ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების გეგმაში ენა უნდა განვიხილოთ, როგორც მუდმივი შემადგენელი ნაწილი. სხვა ბუნებრივი სიმდიდრის მსგავსად, ენასაც, თუ სწორად მივუდგებით, შეიძლება ჰქონდეს სამუშაოს შექმნის შესაძლებლობა.

2.1.3 ენის დაგეგმვის ამოცანები

ენის დაგეგმვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნები და ამოცანებია:

- სკოლის მოსწავლეთა დაბალი მოსწრებისა და სკოლის მიტოვების მაღალი დონის შემოწმება მრავალენოვან გარემოში. დაწყებით განათლებაზე წვდომის გაუმჯობესება დედაენით სწავლების ხელშეწყობით, ასევე დედაენით განათლების მიღების შემოწმება სკოლამდელ და დაწყებით საფეხურებზე;
- ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ისწავლებოდეს მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე;
- ოფიციალური პირების, დასაქმებულების, მეცნიერების, მკვლევრების, მასწავლებლების და თვით გამოცდილი მუშების კვალიფიკაციის გაუმჯობესება, რაც ნიშნავს დაბანდებას სახელმწიფოს ეკონომიკურ სიძლიერეში;
- კულტურული მრავალფეროვნებისა და თვითმყოფადობის გაძლიერება სხვადასხვა ენაზე ხელოვნების ხელშეწყობით;
- ეთნიკური და პოლიტიკური უკმაყოფილების თავიდან აცილება ენობრივი თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული გარემოს შექმნის გზით, ანუ თანასწორი დამოკიდებულება ქვეყანაში არსებული ყველა ენის მიმართ, განსაკუთრებით, საზოგადოების ოფიციალურ სფეროებში, როგორებიცაა: კანონმდებლობა, სამართალი, საჯარო მმართველობა და განათლება, იმის გათვალისწინებით, რომ თანაარსებული ენები შესაძლოა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იყოს;

- დემოკრატიის უზრუნველყოფა ადამიანების გაძლიერების გზით, რათა მიიღონ ინფორმაცია და გააკეთონ პოლიტიკური არჩევანი;
- ციფრულ წყალგამყოფზე ხიდის გადება ელექტრონულ მედიაში ენების გამოყენების გზით და, ამგვარად, ადამიანის ენის ტექნოლოგიების, მანქანური თარგმანისა თუ სხვა გზით ხელშეწყობა;
- ენობრივი საზოგადოების წევრთა უზრუნველყოფა ლექსიკონებით, სახელმძღვანელოებით, ხელოვნების ნიმუშებით, სასკოლო წიგნებით, გაზეთებითა და ა.შ. მათ დედაენაზე.

2.2 ტერმინოლოგიის დაგეგმვა

ენის დაგეგმვისგან განსხვავებით, რომლის დაწყებაც შესაძლებელია ენის განვითარების იმ დონეზეც კი, როდესაც არ არსებობს წერილობითი ენა და ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ენობრივი წესები, ტერმინოლოგიის დაგეგმვა დაფუძნებულია ენობრივი ნორმების არსებობა-სა და გარკვეულ გრამატიკულ და ორთოგრაფიულ წესებზე წერილობით ენაში. ასეთ საფუძველზე ტერმინოლოგიის დაგეგმვა შეგნებულად და გეგმაზომიერად ავითარებს დარგობრივ ენას დარგობრივი საქმიანობისა და მოთხოვნების მიხედვით, რომლის ფარგლებში ყოველდღიურად იქმნება ახალი ტერმინები მსოფლიოს ასობით ენაში. ეს ტერმინები ქმნის სხვადასხვა ტერმინოლოგიას, რომლებიც მოიცავს ტერმინთა წყებებს თავიანთი განსაკუთრებული მნიშვნელობებით (ცნებებით) და გამოიყენება ამა თუ იმ დარგის ენაში. ერთი მხრივ, ტერმინოლოგიის განვითარება წარმოადგენს ბუნებრივ, გარდაუვალ მოვლენას, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი შესაძლოა იყოს რაიმე მიზნით განპირობებული წამოწყება, რომელიც ენის განვითარების ნაწილია და, ამავე დროს სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პოლიტიკის განმახორციელებელი საშუალება.

ტერმინოლოგიის არსში ჩასაწვდომად განვიხილოთ ქლოროფლუორკარბონების (CFCs) სალექსიკონო განმარტება, რომლის შესახებ საუბარია ენის დაგეგმვის სახელმძღვანელოში (ANTIA 2000):

„ქლოროფლუორკარბონები (CFCs) არააალებადი, არამომწამვლელი და არარეაქტიული ნაერთებია, რომლებიც მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან გამოიყენება მაცივრებსა და სატყორცნ ნივთიერებებში აეროზოლებისათვის. დამტკიცებულია, რომ ისინი არ აყენებენ ზიანს დედამიწის ოზონის შრეს და დიდად არ უწყობენ ხელს სათბურის ეფექტს [...]. როდესაც ქლოროფლუორკარბონების მოლეკულები ხვდება გარემოში, მათ შლის მზის ულტრაიისფერი გამოსხივება ატმოსფეროს ზედა ფენებში და წარმოქმნის ქლორინს, რომელიც რეაქციაში შედის ოზონთან“.

დავუშვათ, რომ ამ ციტატაში მოყვანილია ორი განსხვავებული ტექსტი: პირველი მათგანი შედგება მხოლოდ **საერთო მოხმარების ენის ტექსტის ნაწილებისგან**, რომლებიც **შავი შრიფტითაა** გამოყოფილი (როგორც ეს ზემომოყვანილ მაგალითშია), ხოლო მეორეში შედის

მხოლოდ დარგობრივი ენის ტექსტის ნაწილები (ტერმინები), რომლებიც ნაცრისფერი შრიფტითაა, ხოლო მუქი შრიფტით მოცემული ტექსტის ნაწილები თავისთავად არანაირ აზრს არ გადმოსცემს, ჩვეულებრივი შრიფტით წარმოდგენილი ტექსტის ნაწილები (იმ სემანტიკური ურთიერთობების წყალობით, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ენის ერთგვარ ინტუიციურ გრამატიკასთან) მნიშვნელობის მქონეა იმ ადამიანთა უმრავლესობისათვის, რომელსაც აინტერესებს გარემოს ქიმია. ამ მოვლენის ახსნა ტერმინთა დანიშნულებაშია: ისინი გადმოგვცემენ დარგობრივი ცოდნის არსს. ციტატაში მოცემული საერთო მოხმარების ენის შემადგენელი ნაწილები უბრალოდ ასრულებენ გრამატიკული და სინტაქსური კირხსნარის როლს, რომელიც ადუღაბებს ამ რთულ სამშენებლო ბლოკებს და გვაძლევს იმავე ღირებულების თანმიმდევრულ მთელს.

გარდა იმისა, რომ ტერმინებს მთავარი ადგილი უჭირავს ტექსტის გააზრებაში, ისინი (და ცნებები, რომელთაც ისინი აღნიშნავენ) გამიზნულია სხვადასხვა დანიშნულებისთვის (როგორც ეს მოცემულია ზემოთ დამოწმებულ ნაშრომში), ასე მაგალითად:

- თარგმანი: როგორ არის ქლოროფლოროკარბონი შენს ენაზე?
- ინფორმაციის მოპოვება: როგორ შეიძლება ვეძებოთ გარკვეული ინფორმაციული ერთეულები, მაგალითად, მსგავსი ტექსტები ინტერნეტში საძიებო სისტემის მეშვეობით?
- დოკუმენტირება: როგორ შეიძლება დავალაგოთ დოკუმენტები დაწესებულების არქივში იმგვარად, რომ მათი პოვნა და კვლავ გამოყენება შესაძლებელი გახდეს წლების შემდეგაც კი?
- ენობრივი ურთიერთობა: როგორ შეიძლება მიიღოს ან მიაწოდოს ზემომოყვანილ ტექსტში არსებული ინფორმაცია და ცოდნა სტუდენტმა, პედაგოგმა, ეკოლოგმა და ა.შ. კანონმდებელს ან მოქალაქეს?
- განათლება: როგორ უნდა ვასწავლოთ დარგობრივი საგნები მოსწავლეებს, სტუდენტებს, პრაქტიკანტებს, ექსპერტებსა და ა.შ.?

ტერმინოლოგია შეიძლება დაიგეგმოს სხვადასხვა თვალსაზრისით და დაინერგოს ისეთ ვითარებაში, რომელშიც ტერმინოლოგიური საქმიანობის უმეტესი მიმართულებები უკვე ამოქმედებული ან სავალდებულოა. ამის შედეგად თანმიმდევრული მიდგომისა და ურთიერთშეთანხმების საჭიროება ვერანაირად ვერ იქნება გადაფასებული.

2.2.1 ტერმინთწარმოების მეთოდები ტერმინოლოგიის დაგეგმვაში

ტერმინები შეიძლება შედგებოდეს მარტივი სიტყვების ან შესიტყვებებისაგან (ე.ი. მრავალსიტყვიანი ტერმინებისაგან), რომელთაც აქვთ ისეთი თავისებური მორფოსინტაქსური და მორფოსემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც ზოგჯერ არ გვხვდება საერთო მოხმარების ენაში, მაგრამ შეიძლება ახასიათებდეს ზოგიერთ დარგს. უფრო მეტიც, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მახასიათებელთა სხვადასხვა სახეობა და არა უბრალოდ ტერმინები (რომ არაფერი ვთქვათ ტერმინოლოგიურ ელემენტებზე). ამასთანავე, ყოველთვის ძნელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ჩვეულებრივი სალექსიკონო ერთეულები და ტერმინები, ტერმინები და არატერმინები ან სახელები და ტერმინები. ტერმინების წარმოება ემყარება მახასიათებელთა დანიშნულებას დარგობრივ ენაში. კორპუსულ ანალიზში ტერმინების ამოკრება და მათი დადგენა სხვადასხვა სამუშაოა. მიუხედავად გაძლიერებული კვლევისა, სრულად საიმედო მოდელები, შესაბამისი ალგორითმები ჯერჯერობით შექმნილი არ არის, თუმცა არსებობს ადამიანის ენის ტექნოლოგიები და საშუალებები, რომლებიც გვაძლევს კიდევ დამაკმაყოფილებელ შედეგებს კორპუსებში ტერმინთა დადგენისა და კორპუსებიდან მათი ამოკრების თვალსაზრისით. არსებობს მიდგომები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ დანიშნულების მიხედვით (ნიშანდობლივი შეზღუდვების გათვალისწინებით).

დარგობრივ და საერთო მოხმარების ენებს შორის მუდმივი ურთიერთზემოქმედებაა. გვაქვს ლექსიკური მასალის მუდმივი გადადინება ორივე მიმართულებით:

- განტერმინება: დარგის ტერმინები გადადის საერთო მოხმარების ენაში, როგორც საყოველთაოდ ცნობილი სალექსიკონო ერთეულები;
- გატერმინება: ლექსიკური ერთეული გადაიქცევა ტერმინად (ან მის ნაწილად);
- ტერმინთწარმოების ამჟამინდელი პრინციპები: ქვემოთ ჩამოთვლილი სემიოტიკური პრინციპები ძირითადად გამოსადეგია „ყველა“ ენისათვის. ეს პრინციპები მიემართება ტერმინოლოგიის უცვლელ ბუნებას, რომელსაც საფუძვლად უდევს ცნებითი ქსელები (მათ შორის: შემეცნებითი განზომილება, ცოდნის წარმოჩენის სახეები და ა.შ.):

- გამჭვირვალობა (// გაუმჭვირვალობა);
- თანმიმდევრულობა;
- შესაბამისობა;
- სიმოკლე (ენობრივი ეკონომია);
- წარმოება;
- ენობრივი მართებულობა;
- უპირატესობის მინიჭება მშობლიური ენისათვის (გარდა იმ დარგებისა ან ენებისა, რომლებშიც არსებობს სხვა ტრადიციები, მაგალითად, ლათინური ან ბერძნული ფორმები ზოგიერთ დარგში).
- ტერმინთწარმოების მეთოდები:

- ახალი ფორმების შექმნა:
 - წარმოქმნა;
 - თხზვა;
 - შემოკლებები.
- არსებული ფორმების გამოყენება:
 - კონვერსია (ერთი მეტყველების ნაწილის გადაქცევა მეორე მეტყველების ნაწილად);
 - გატერმინება (ახალი, ხშირად მსგავსი ან მეტაფორული მნიშვნელობების მინიჭება უკვე არსებული ტერმინებისათვის მეტ-ნაკლებად დაკავშირებულ სფეროებში ან საერთო მოხმარების ენის სიტყვებისათვის);
 - სემანტიკური გადასვლა დარგობრივ ენაში;
 - დარგთაშორისი სესხება (მეტაფორები);
- სესხება ენათა შორის:
 - პირდაპირი სესხება;
 - კალკირება.

ზემოხსენებული მეთოდები უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, რამდენად მიესადაგება ისინი ამა თუ იმ ენას. სემიოტიკური პრინციპები სახელმძღვანელო მითითებების დანიშნულებას ასრულებს ტერმინთწარმოების მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით. ზოგიერთი პრინციპი ურთიერთსაწინააღმდეგოა, რის შედეგადაც დაშვებულია მნიშვნელოვანი დათმობები (მაგალითად, ტერმინთა გამჭვირვალობა სიმოკლის საპირისპიროდ). ეს და სხვა დეტალები შეგიძლიათ იხილოთ ისო 704-ში და სხვა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებში (იხ. ლიტერატურა).

ტერმინთწარმოების არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს შორისაა, ასევე, შეუსაბამობები ზოგადენობრივი მოდელების თვალსაზრისით მორფოლოგიაში, წესების მრავალფეროვნება და არათანმიმდევრულობა სხვადასხვა სფეროში (განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რომელთაც თავისებური ნომენკლატურა აქვთ), მრავალი ენის ზოგადი აღწერა და ამ ენების სრული ასახვის საჭიროება (მაგალითად, ენის დაგეგმვა) ტერმინოლოგიის განვითარების საიმედო წესების შესაქმნელად, განსაკუთრებით, ორთოგრაფიის, წერის, წარმოთქმისა და გრამატიკის თვალსაზრისით. ადამიანის ენის ტექნოლოგიების გამოსაყენებლად საჭიროა ტერმინების შექმნის მზა (ავტომატიზებული) მოდელი დასამუშავებელ ენებში.

2.2.2 აღწერითი და ნორმადამდგენი ტერმინოლოგიური მუშაობა

ახალი ტერმინები უწყვეტად შეაღწევს ენაში არსებული სიცარიელის შესავსებად, რომელიც შეიქმნა ახალი ცნების შემოღებით ან უკვე არსებული, მოუხერხებელი ტერმინის ჩასანაცვლებლად. არსებობს ორი მიდგომა, რომლებიც დაკავშირებულია ტერმინოლოგიის განვითარ-

რებასთან: აღწერითი (დესკრიფციული) და ნორმადამდგენი (პრესკრიფციული) ტერმინოლოგიური მუშაობა. მაშინ, როცა აღწერითი (დესკრიფციული) ტერმინოლოგია მხოლოდ აკვირდება და იკვლევს ტერმინების გაჩენას, ნორმადამდგენი (პრესკრიფციული) ტერმინოლოგიური მუშაობა გულისხმობს მომხმარებელთა შორის შეთანხმების მიღწევას ახალი ტერმინის მისაღებად საერთო და განმეორებითი გამოყენებისათვის მოცემულ ვითარებაში. ეს უკანასკნელი მოიცავს ტერმინოლოგიის გაერთვაროვნებას, სტანდარტიზაციასა და შესაბამისობის დადგენას. ტერმინოლოგიის სტანდარტიზების საფუძველი შეიძლება გულისხმობდეს ყველა სახის კომერციულ მიზეზს ან განპირობებული იყოს უსაფრთხოებისა და დაცულობის მოსაზრებებით.

ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია თითქმის ყოველთვის გულისხმობს არჩევანს მოცემულ ტერმინებს შორის. არსებობს რამდენიმე გარემოება, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ამ არჩევანზე, მაგალითად, სიმოკლე (ტერმინი შეიძლება აირჩიონ იმიტომ, რომ იგი სხვებზე მოხერხებულა), გამჭვირვალობა (ერთი ტერმინი შეიძლება სხვებზე უფრო ცხადი და ზუსტი იყოს), სათანადოობა (ტერმინს შეიძლება ჰქონდეს განხეთქილების მომტანი ან პოლიტიკური მნიშვნელობაც).

ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია მოიცავს ორ განსხვავებულ საკითხს, რომლებიც ორ სხვადასხვა მოწყობას ასახავს. ტერმინოლოგიური პრინციპებისა და მეთოდების სტანდარტიზაცია ხორციელდება ჰორიზონტალური მოწყობით, რაც გადაკვეთს თითქმის ყველა სფეროს. ამის საპირისპიროდ, ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია სხვადასხვა სფეროში (ე.ი. ტერმინოლოგიური მუშაობა, რომელიც დღეს, პირველ რიგში, ტექნიკურ კომიტეტებში მიმდინარეობს) ასახავს ვერტიკალურ მოწყობას. რა თქმა უნდა, ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია უნდა ეფუძნებოდეს სტანდარტიზაციის პრინციპებსა და მეთოდებს, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა ემყარებოდეს მეცნიერულ თეორიას. საერთაშორისო დონეზე სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის 37-ე ტექნიკური კომიტეტი (ISO/TC 37) „ტერმინოლოგია და ენა და შინაარსის შემცველი რესურსები“ ზრუნავს ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპებისა და მეთოდების სტანდარტიზაციაზე.

2.2.3. ტერმინოლოგიის მართვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინოლოგიური მეცნიერება უპირატესად დარგთაშორისი სფეროა. ამიტომაც ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში აუცილებელია რამდენიმე დარგის ექსპერტთა თანამშრომლობა. ტერმინოლოგიური მასალის უხვად შემოდინების გამო, რაც შეიძლება, მეტმა ადამიანმა უნდა იმუშაოს ერთად და ერთმანეთს გაუზიაროს სამუშაო გამოცდილება, ძალისხმევა და წყაროები:

- ტერმინოგრაფია ლექსიკოგრაფიის საპირისპიროდ: კლასიკური განმარტებების მიხედვით, ტერმინოგრაფია ემყარება ცნებას, ხოლო ლექსიკოგრაფია – სიტყვას. სინამდვილე-

ში არ არსებობს მკვეთრი განსხვავება; არსებობს მრავალი შერეული მეთოდი, რომელთაც მივყავართ ოდნავ განსხვავებებამდე მუშაობისას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ანომალიებამდე მასალის აგებულების თვალსაზრისით. ვლინდება იმ მეთოდების დაახლოება, რომლებშიც გვაქვს დაპირისპირება შემდეგ მიმართებებს შორის: სიტყვა/მნიშვნელობა და ტერმინი/ცნება, და ბევრი კეთდება საიმისოდ, რომ ხელი შეუწყონ არაერთგვაროვანი სისტემების ურთიერთქმედებას.

- მუშაობის აღწერითი (დესკრიფციული) ნორმადამდგენი (პრესკრიფციული) წესის საპირისპიროდ: საერთოდ, ტერმინოლოგიის მართვის თავდაპირველი საფეხურები მოიცავს კულტურული, ენობრივი, დარგობრივი, პროფესიული და ურთიერთთანამშრომლობის მრავალფეროვნების დოკუმენტირებას; მეორე საფეხურზე ხშირად აუცილებელია ამ სირთულის შეზღუდვა კონკრეტული მიზნების გამო ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის ან შესაბამისობის დადგენის გზით ლექსიკის დანაწევრების შემთხვევაში სოციალური რეგისტრის იმავე დონეზე.

ტერმინოგრაფია ტერმინოლოგიური ინფორმაციის დოკუმენტირებაა. ეს სამუშაო სრულდება ერთენოვან, ორენოვან და მრავალენოვან დონეებზე. მიზნებისა და გამოყენების მიხედვით ჩამოყალიბებული დებულებები განაპირობებს ტექნიკური ლექსიკონების, გლოსარიუმებისა და სხვა ტერმინოგრაფიული ნაწარმოების აგებულებას, რომლებიც გათვალისწინებულია სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის (მაგალითად, განათლებაში, მასმედიისათვის და ა.შ.). რაც შეეხება „მნიშვნელობასა“ და ტერმინოგრაფიას, ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ცნებები და ცნებათა წყებები: ცნებები წარმოადგენს გონებრივ წარმოსახვებს (შემეცნებით ერთეულებს). დარგობრივ ცოდნაში ცნებითი წყებები ნებისმიერი მოცემული ტერმინოლოგიის საფუძველია. ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ტერმინის მნიშვნელობა არის ცნება, რომელსაც ეს ტერმინი აღნიშნავს. ცნებები ყალიბდება და მუდმივად იცვლება ნებისმიერი პროფესიული საქმიანობის დროს და პროფესიული ურთიერთობის ყველა ფორმაში. ცნებების ჩამოყალიბებას ასევე ბიძგს აძლევს კულტურული ჩვეულებანი, ენა კი კულტურის მთავარი გამომხატველია. ტერმინთწარმოებასა და ცნებების წარმოებას შორის არსებული რთული და უწყვეტი ურთიერთქმედება გასათვალისწინებელია ტერმინოლოგიის განვითარებისა და ტერმინოგრაფიის ყველა საფეხურზე.
- განმარტებები, კონტექსტები, მაგალითები მაშინ, როცა ერთმანეთისაგან ვასხვავებთ განმარტების სხვადასხვა სახეს (დამაზუსტებელს, განმაზოგადებელს, ნაწილობრივს, დანიშნულებითს, შეფასებითს და ა.შ.), დაგვემძღვროს ტერმინოლოგიურ მუშაობაში ცნება-

თა წყებები აისახება ურთიერთდაკავშირებულ განმარტებებში. მრავალგანზომილებიანი ცნებათა ჯგუფები მოითხოვს ისეთ განმარტებებს, რომლებიც ასახავს სხვადასხვა წახნაგს ან განსხვავებულ მახასიათებლებს, ამიტომაც უნდა ჩამოყალიბდეს განმარტებების დაწერის და/ან შეფასება-გადასინჯვის პრინციპები (იხ. ისო 704, Wright/Budin 1997: „როგორ არ/უნდა დავეწეროთ განმარტება“).

- კონტექსტები (ასევე მოიცავს განმარტებით და საილუსტრაციო კონტექსტებს): ტერმინოლოგიის მართვის გარემოში კონტექსტები ცხადად წარმოაჩენს მეტყველებაში ტერმინის დანიშნულებას, ე.ი. ისინი წარმოადგენს ტექსტის ნაწილებს. კონტექსტების სხვადასხვა ფუნქციის დოკუმენტირება ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ვერ ასწრებენ ვრცელ განმარტებებს, დოკუმენტირებული კონტექსტები მნიშვნელოვან დამატებით განმარტებას გვაწვდის, განსაკუთრებით, როდესაც კორპუსული ანალიზი გამოიყენება დროის მცირე მონაკვეთში დიდი კორპუსების შესაქმნელად. კონტექსტები მხარს უჭერს განმარტებებს და ზოგიერთ შემთხვევაში ისინი შესაძლოა ერთადერთ ხელმისაწვდომ ინფორმაციას წარმოადგენდეს (განმარტებების უქონლობისას). ისინი მნიშვნელოვანია მაშინაც კი, როდესაც გვაქვს განმარტებები, რადგანაც ისინი გვიჩვენებენ, რომ განმარტება მართებულია მოცემული შემთხვევისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში ისინი უნდა მივიჩნიოთ პირველწყაროდ ტერმინებისა და მათი შემცველი შესიტყვებების გამოყენების საანალიზოდ.

შედარებითი და შეთანხმებული ტერმინოლოგიური სამუშაო მოიცავს ტერმინოლოგიის მართვის ორ ძირითად მიდგომას:

- შედარებითი ტერმინოლოგიური სამუშაო გულისხმობს იმ ტერმინებისა და ცნებების კვლევას, რომლებიც სხვადასხვა ენაში გამოიყენება იმისათვის, რომ მივიდეთ ე.წ. „შესატყვის“ ტერმინებამდე, რომელთაც მიეცემათ უპირატესობა ტერმინოლოგიურ მასალაში ან სტანდარტში. აქ ხშირადაა შეუსაბამობა ცნებით წყებებსა და სხვადასხვა ენობრივი საზოგადოების მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიას შორის. „შესატყვისობის“ პრობლემური საკითხის კვლევისას პრაგმატულ კონტექსტში (ფილოსოფიურის საპირისპიროდ) მნიშვნელოვანია ფუნქციური მიდგომა. საჭიროა ტექსტისა და კომუნიკაციის შესატყვისობის კვლევა ტერმინოლოგიურის ან ლექსიკურის საპირწონედ. ამ საფეხურზე შედარებით ტერმინოლოგიურ მუშაობას სჭირდება კვლევისა და საკომიტეტო განხილვების გამოწვლილვითი დოკუმენტირება ყველა განხილული ენის მონაცემების ჩათვლით, რაც შექმნის ცოდნის უბადლო ბაზას და გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემას.

- ენის განვითარებისა და ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის თვალსაზრისით შეთანხმებული ტერმინოლოგიური მუშაობა საუკეთესო შედეგის მომტანია, როდესაც ენათმეცნიერები, ტერმინოლოგები და დარგის სპეციალისტები ერთად მუშაობენ კომიტეტებში. ჩვეულებრივ, ამ სხვადასხვა სპეციალისტს განსხვავებული ცოდნა და გამოცდილება აქვს, რითაც თავიანთი წვლილი შეაქვთ რთული ამოცანის გადაჭრაში, იგულისხმება:
 - დარგობრივი ცოდნა (ცნებითი ცოდნა);
 - ენობრივი ცოდნა (ზოგადი და ენობრივი თავისებურებების ცოდნა);
 - ტერმინოლოგიური ცოდნა (მუშაობის მეთოდების შესახებ, რომელიც გადებს ხიდს დარგობრივ და ენობრივ ცოდნას შორის).

3 ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა

ამ სახელმძღვანელო დებულებებში განხილული მეთოდოლოგია ხაზს უსვამს ტერმინოლოგიის პოლიტიკის თანმიმდევრულად შექმნის, შემუშავების, დანერგვის, მოქმედების, წახალისებისა და უზრუნველყოფის საჭიროებას, რასაც ექნება ცხადი მიზნები და მომავალი, ასევე - გამოყენების სფეროები და გეგმები. ამგვარი ტერმინოლოგიის პოლიტიკის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია საინფორმაციო ქსელების გამოყენება, თავის მხრივ, საინფორმაციო ქსელებიც გაცილებით შედეგიანი იქნება, თუ მას მხარს დაუჭერს ტერმინოლოგიის პოლიტიკა. ტერმინოლოგიის პოლიტიკასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და ტექნიკური მოწყობის ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს მისი მიზნებისა და სამომავლო გეგმების განხორციელების საშუალებას თავისი ზოგადი თუ კონკრეტული გამოყენების სფეროებითა და სამიზნეობით.

3.1 ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება

ტერმინოლოგიის განვითარებისა და ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს:

- საერთო მოხმარების ენას, როგორც დარგთაშორის ურთიერთობის საშუალებას, ზოგადად;
- გარკვეული სფეროს დარგობრივ ენებს ან
- ამ ორი მხარის ერთობლიობას.

ამ მიდგომაზე მაინც შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს არსებულმა ენობრივმა სიტუაციამ. ამ სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ მრავალი განსხვავებული ვითარება.

ერთსა და იმავე ენობრივ საზოგადოებაში შესაძლოა საჭირო იყოს ტერმინოლოგიის განვითარება გარკვეულ დარგობრივ ენაში, ხოლო სხვა დარგობრივი ენა განსხვავებული და მოცილე ტერმინოლოგიის არსებობის გამო საჭიროებდეს შესაბამისობის დადგენას. ზოგიერთი ენობრივი საზოგადოება განცალკევებით არსებობს ქვეყნის მოცემულ განსაზღვრულ არეალში. ისინი შესაძლოა თანაარსებობდნენ სხვა ენობრივ საზოგადოებებთან ერთად ან შეადგენდნენ მეტ-ნაკლებად ავტონომიურ ენობრივ უმცირესობას. არსებობენ ისეთი ენობრივი საზოგადოებები, რომლებიც ორი ან მეტი ქვეყნის საზღვრებს კვეთენ (შესაძლოა, მათ სხვადასხვა სტატუსი ჰქონდეთ სხვადასხვა რეგიონში) ან მრავალ ქვეყანაში არიან მიმოფანტული. ზოგ შემთხვევაში უმცირესობათა ენები არსებობს ერთ ან მეტ ქვეყანაში და მოწყვეტილია უმრავლესობის ენის განვითარებას მშობლიურ ქვეყანაში. ამგვარ შემთხვევებში უმცირესობათა ენობრივი საზოგადოებები ზოგჯერ სარგებლობენ ავტონომიური ან ნახევრად ავტონომიური სტატუსით ამ ქვეყანაში და, შესაბამისად, ავითარებენ სპეციალურ ტერმინოლოგიურ თავისებურებებს, რათა მოერგონ და მშვიდობიანად თანაარსებობდნენ უმრავლესობის ენის ან მათ გვერდით

არსებულ სხვა საზოგადოებებთან. სხვა შემთხვევებში ამგვარი უმცირესობები მეტ-ნაკლებად სრულად არიან დამოკიდებული იმ ენაზე, რომელიც ვითარდება მათი წარმოშობის ქვეყანაში.

ეს სახელმძღვანელო მითითებები განკუთვნილია სხვადასხვა გამოცდილების მქონე მკითხველისათვის, დაწყებული დიდი ქვეყნებიდან, რომლებიც ცდილობენ, ჩამოაყალიბონ ტერმინოლოგიის ეროვნული პოლიტიკა, დამთავრებული მცირე და საშუალო ქვეყნებით, სადაც არის ერთი ან მეტი ენობრივი საზოგადოება, ასევე, უმცირესობათა ენობრივი საზოგადოებების ან სხვა სახის თემებისათვის, რომლებსაც სჭირდებათ ტერმინოლოგიის პოლიტიკა. თითოეულ ენობრივ საზოგადოებას, შესაძლოა, განსხვავებული საჭიროებები ჰქონდეს ინსტიტუციური მშენებლობისა და ადამიანურ ძალთა ზრდის თვალსაზრისით, როგორც ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების ნაწილი კონკრეტული კულტურის, საზოგადოების ან სხვა არსებული გარემოებების მიხედვით.

3.2 ტერმინოლოგიის პოლიტიკის დანერგვა

დღესდღეობით პოლიტიკის გამტარებლები დგანან იმ უზარმაზარი გამოწვევის წინაშე, რომელიც გულისხმობს მათი განვითარების გეგმებში ახალი გზებისა და საშუალებების გამოძებნას საინფორმაციო წყაროების უზრუნველსაყოფად და გამოსაყენებლად. ამის საპასუხოდ საკმაოდ ხშირად ტერმინოლოგიის მოცემული პოლიტიკა უნდა მოვიაზროთ იმ სხვა ეროვნული პოლიტიკის დამხმარედ ან ნაწილადაც კი, როგორებიცაა: საინფორმაციო ან ცოდნის პოლიტიკა, განათლების პოლიტიკა, ძალთა და ინსტიტუციური ზრდის პოლიტიკა, ტექნოლოგიისა და სიახლეების პოლიტიკა და ა.შ.

ტერმინოლოგიის პოლიტიკა თითქმის სრულად ახდენს გავლენას პროფესიულ ცხოვრებაზე, სწავლა-განათლებაზე, ჯანდაცვის სისტემაზე და ა.შ. ეს ეხება ყველას: ახალგაზრდასა თუ ხანდაზმულს. მათ სჭირდებათ დარგობრივი ცოდნის გაგება ან ათვისება ამა თუ იმ სახით. უმეტეს შემთხვევაში, გონივრული იქნებოდა იმ ინსტიტუტების მონაწილეობა, რომლებსაც სურთ ენის დაგეგმვის პოლიტიკის საკითხებზე მუშაობა. დაბოლოს, ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა ამ პროცესში ჩაგვეერთო მთლიანად ენობრივი საზოგადოება.

ეს სახელმძღვანელო დებულებები ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული ინფორმაციის პოლიტიკის განხორციელების მოდელს, რომელიც მოცემულია იუნესკოს გამოცემაში PGI-90/WS/11: Montviloff, Victor. *National Information Policies*. A handbook on the formulation, approval, implementation and operation of a national policy on information. Paris: UNESCO, 1990.

და მაინც, რადგანაც ეს სახელმძღვანელო დებულებები ხშირად იქნება გამოყენებული რეგიონულ ან ადგილობრივ დონეებზე ერთი ან რამდენიმე ენობრივი საზოგადოებისათვის, ეს მოდელი უნდა გამარტივდეს. ფართომასშტაბიანი გამოყენების შემთხვევაში სახელმწიფოებრივ დონეზე რამდენიმე ენობრივი საზოგადოებისათვის ზემოაღნიშნული გამოცემა უნდა გავითვალისწინოთ ამ სახელმძღვანელო დებულებებთან ერთად.

3.3 ძალთა ზრდა

ინსტიტუციური და საზოგადოებრივი ძალების ზრდა ნებისმიერი ტერმინოლოგიის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მხარეა. ტერმინოლოგიური მოწყობის საჭიროება შესაძლოა წარმოიშვას ტერმინოლოგიის დაგეგმვის პროგრამების შექმნის ჯერ კიდევ ადრეულ საფეხურზე. სწორედ მაშინ დგება ტერმინოლოგებისა და, განსაკუთრებით, ტერმინოლოგიის პოლიტიკის ექსპერტების საჭიროება, რათა თავიდან ავიცილოთ ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სირთულე. ამის მსგავსად, უნდა გვქონდეს ძალების ზრდის თანმიმდევრული გეგმა, რომლითაც ხელს შევუწყობთ ტერმინოლოგიის ექსპერტების მომზადებას. ისინი განახორციელებენ გეგმაზომიერ ტერმინოლოგიის პოლიტიკასა და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ არსებით ტერმინოლოგიურ ღონისძიებას.

რადგანაც ნებისმიერი სფეროსა თუ დარგის ტერმინოლოგია იზრდება თითოეული ახალი აღმოჩენის კვალად, ინფორმაციისა და ცოდნის მიღებას განაპირობებს ტერმინოლოგია.

სათანადო სამეცნიერო, ტექნიკური, საგანმანათლებლო და ეკონომიკური ტერმინებით უზრუნველყოფას მხარში უნდა ედგნენ მთელი ენობრივი საზოგადოების თანამოაზრეთა ჯგუფები და ექსპერტები. უფრო პატარა ქვეყნებში ან ენობრივ საზოგადოებებში, რომელთაც განვითარებადი ტერმინოლოგია აქვთ, ტერმინოლოგიის პოლიტიკის დანერგვა-განხორციელების დასაწყისშივე უპირველესად უნდა შეიქმნას ძირითადი ტერმინები. მათში შეიძლება შევიდეს ისეთი ტერმინები, რომლებიც საჭიროა განათლების სისტემისათვის, ასევე, ჰიგიენის ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის და ა.შ. ასე რომ, უნდა დაისახოს ის უპირატესობები დარგებისთვის, რომლებსაც თავიდანვე უნდა შეეხოს ტერმინოლოგიის პოლიტიკა.

ტერმინოლოგიის შექმნისას ტექნიკური მთარგმნელები ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობენ, რადგანაც თარგმნისას ისინი ხშირად გვთავაზობენ ახალ ტერმინებს წყარო ენაზე დაყრდნობით. უმთავრესად ტერმინოლოგიის შექმნა და დამტკიცება-შეთვისება მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას ტერმინოლოგებს, დარგის სპეციალისტებს, ენათმეცნიერებს, მთარგმნელებსა და განათლების მუშაკებს შორის. უნდა განისაზღვროს საერთო გეგმა, რათა თავიდან ავიცილოთ ტერმინოლოგიური სიჭრელე. ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ენის - უმცირესობის, გარიყული და განვითარებადი - გამოყენება იძლევა იმის საშუალებას, რომ სათანადოდ დავაფასოთ ადგილობრივთა ტექნოლოგიები და დავუახლოვოთ თანამედროვეს; ამგვარად, ენის განვითარების მხარდაჭერა ხელს უწყობს ასევე ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობისა და მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

თუ დაგეგმილია ტერმინოლოგიური დაწესებულებების შექმნა, შესაძლოა, გაჩნდეს თანამშრომელთა მომზადების საჭიროება ტერმინოლოგიური პროექტების მართვის, ტერმინოლოგიური მუშაობისა და ტერმინოგრაფიისათვის. ერთი მხრივ, ტერმინოგრაფებს, რომელთაც შეუძლიათ ტერმინების გამოვლენა, მათი დოკუმენტირება კონკრეტული ტერმინოლოგიური

მიდგომებისა და გამოცდილების მიხედვით, სამომავლო ტერმინთა სიების შედგენა, შესაძლოა დასჭირდეთ თანამშრომლობა დარგის სპეციალისტებთან. მეორე მხრივ, ტერმინოლოგებს მოუწევთ კვლევის ჩატარება მეორეული ტერმინების შექმნის გზებისა და გამოცდილების შესახებ. რა თქმა უნდა, ტერმინოლოგიის ყველა ექსპერტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ენ(ებ)ის ორთოგრაფიის, დაწერილობისა და სიტყვაწარმოების პრინციპების გამოწვლილვითი ცოდნა.

სათანადოდ უნდა შეფასდეს კერძო სექტორის წვლილი ამ მიმართულებით. ექსპერტებმა იციან, რომ მათ უნდა უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა სხვა დარგების სპეციალისტებთან და არაპროფესიონალებთანაც, მაგრამ, პირველ რიგში, დარგთაშორისი ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს დარგებში შეთანხმებულ ტერმინოლოგიას. დარგის სპეციალისტებმა შესაძლოა გადაწყვიტონ ტერმინოლოგიური პროექტების განხორციელება და სხვადასხვა სფეროს ტექნიკური ლექსიკონების შექმნა. ხშირად ეს ადამიანები არ არიან ტერმინოლოგები ან ტერმინოგრაფები და სჭირდებათ დახმარება ტერმინების შექმნაში, სწორად დოკუმენტირებასა და, საბოლოოდ, თავიანთი სფეროების ტერმინოლოგიური მასალების შედგენაში.

3.4 ეროვნული ტერმინოლოგიური ინსტიტუტების როლი

ტერმინოლოგიური მომსახურების გამწვევი უწყებების (ინსტიტუციების) დანიშნულებაა, მიაწოდონ რჩევები და ხელი შეუწყონ ხელისუფლებას ტერმინოლოგიასთან და ტერმინოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, განვითარებაში, განხორციელებასა და უზრუნველყოფაში. ზოგჯერ ერთი ტერმინოლოგიური დაწესებულება ასეთ სამსახურს უწევს ერთ ან რამდენიმე ქვეყანას. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სახის ტერმინოლოგიურ მომსახურებას უზრუნველყოფს სხვადასხვა დაწესებულება სახელმწიფო და რეგიონულ დონეებზე და ეს მათი ძირითადი საქმიანობის ნაწილია. ზოგჯერ დარგობრივი დაწესებულებებიც სწევენ ტერმინოლოგიურ მომსახურებას.

ტერმინოლოგიური დაწესებულებები იძლევიან რჩევებს ტერმინოლოგიასა და დარგობრივ ენასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სხვა საკითხების შესახებ. მათ შეუძლიათ დაადგინონ და შეაფასონ ტერმინოლოგიური მუშაობის წესები, რათა შეიქმნას პირობები ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ენობრივი საზოგადოებისათვის ტერმინოლოგიური მასალის შეგროვების, აღნუსხვის, მოწესრიგების, დადგენისა და გავრცელების გეგმაზომიერი მუშაობის დასაწერგავად. ტერმინოლოგიურმა დაწესებულებებმა შესაძლოა ასევე გაგვიწიონ საინფორმაციო მომსახურება როგორც დარგობრივი ენის მონაცემების, ისე ტერმინოგრაფიის საკითხების შესახებ. უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ დარგობრივი ენების პროექტების მართვა, მხარდაჭერა და განხორციელება, რომელთა წყალობითაც ტერმინოლოგიური ნაწარმოები ხელმისაწვდომი ხდება მათთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემებში, მაგალითად, ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზის განვითარებისა და მართვის გზით. ქსელური ურთიერთობების ეპოქაში ამ უკანასკნელმა შესაძლოა მიიღოს ტერმინოლოგიის მონაცემთა მთავარი

ბაზის „წარმოსახვითი“ სახე, რომელიც სინამდვილეში შედგება გადანაწილებული მონაცემთა ბაზების ქსელისაგან.

ეროვნული ტერმინოლოგიური დაწესებულებების მიზანი შეიძლება იყოს ყველა მოქალაქის ძალმოსილების გაზრდა, რათა მათ შეძლონ თავიანთი წვლილის შეტანა ტერმინოლოგიაში, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთობას სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა დარგსა თუ საქმიანობის სფეროში. სხვა მიზნებში შეიძლება შედიოდეს სათანადო მრავალენოვანი ტერმინოლოგიური ნაწარმოების მიწოდება სხვადასხვა სფეროში, ტერმინოლოგიის შექმნისა და ტერმინოლოგიური გარემომსახურების მართვა, თანამშრომლობის ჩამოყალიბება თანამშრომელ პირებსა და თანამოაზრე მხარეებს შორის, ტერმინოლოგიის მონაცემთა ეროვნული ბაზის მართვა, და, შესაძლოა ინფორმაციის გავრცელება მომხმარებლებსა და თანამშრომლებს შორის ტერმინთა ჩამონათვალის, ტექნიკური ლექსიკონებისა და ელექტრონული მედიის საშუალებით. გარდა სამეცნიერო, ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეწყობისა, ეროვნულ ტერმინოლოგიურ დაწესებულებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ცოდნის გადაცემაში და, შესაბამისად, ქვეყნის მოქალაქეთა ძალისხმევის გაზრდაში, მათი სამეცნიერო, ეკონომიკური და ტექნიკური, ასევე ზოგადენობრივი უნარების განვითარებით.

ეროვნულ ტერმინოლოგიურ დაწესებულებას შესაძლოა მოუწიოს ტერმინოლოგიური მუშაობის მმართველ ცენტრად გადაქცევა ზოგიერთ ქვეყანაში, რადგან მოთხოვნა ტერმინოლოგიაზე დღითიდღე იზრდება. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია შეთანხმებული მუშაობა და მისი მართვა ტერმინთა დოკუმენტირებისათვის, ეს გამორიცხავს ხელმეორედ გაკეთებას და ხელს შეუწყობს სტანდარტიზაციას. ეროვნულ ტერმინოლოგიურ დაწესებულებას შეუძლია იმოქმედოს ეროვნული შუა რგოლის დანიშნულებით, რომელიც მუშაობს სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური სიახლეების დოკუმენტირებაზე მთავარ ან გადანაწილებულ მონაცემთა ბაზაში. ტერმინოლოგიური ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება ე.წ. მთავარი კარიბჭის გავლით ამ გზით ეროვნულ ტერმინოლოგიურ დაწესებულებას შეუძლია მნიშვნელოვანი მომსახურების გაწევა მთელ ქვეყანაში.

ისეთ ქვეყნებში, სადაც ერთი ან მეტი ენობრივი საზოგადოება დიდ ფართობზეა გაშლილი, ადგილობრივი ტერმინოლოგიური მოწყობა შესაძლოა, საუკეთესო გადაწყვეტა იყოს ტერმინოლოგიის პოლიტიკის განსახორციელებლად. ადგილობრივმა ტერმინოლოგიურმა უწყებებმა შეიძლება იმოქმედონ, როგორც ეროვნული ტერმინოლოგიური დაწესებულების წყაროებმა (მაგალითად, მისცენ მომხმარებლებს მოსახერხებელი წვდომა მრავალი ტერმინოლოგიური ორგანიზაციის საერთო პორტალებზე). ისინი შეიძლება მდებარეობდეს ისეთ ადგილებში, სადაც გარკვეული დარგებია წამყვანი ან შეიძლება განთავსდნენ ისეთ გეოლინგვისტიკურ არეალში, სადაც ცხოვრობს იმ ენაზე მოლაპარაკეთა უმრავლესობა, რომელსაც სჭირდება ტერმინოლოგიის განვითარება. ტერმინოლოგიის პროექტები შეიძლება დაგეგმონ ცალკეულმა პირებმა ან დარგობრივმა ორგანიზაციებმა და ასოციაციებმა, რომელთაც გარკვეული აქვთ ტერმინოლოგიის განვითარების საჭიროება რომელიმე სფეროში. ამ გზით მათი ენა უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს გარკვეულ რეგიონსა თუ სფეროში.

3.5 კერძო წამოწყებები

ტერმინოლოგია არის სახელმწიფო სამოქმედო გეგმა მრავალენოვან ქვეყანაში. მისი მეშვეობით ვრცელდება ცოდნა და ინფორმაცია. მართებული, შეთანხმებული, სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის გამოყენების გზით ვითარდება სამეცნიერო და ტექნიკური ურთიერთობის მნიშვნელოვანი უნარები. ამასთანავე, ახალი უნარები და პროფესიულ ნიშანთა ერთობლიობაა საჭირო ე.წ. ტერმინოლოგიური ბაზრისათვის, რომელსაც წარმოადგენენ ნაწარმოების შემქმნელები და მომხმარებლები, კერძოდ:

- ტერმინოლოგიის შემქმნელები (მაგალითად, მკვლევრები, ტექნიკოსები, ადმინისტრატორები და ა.შ.),
- ტერმინოლოგიური მასალის მწარმოებლები (მაგალითად, ტერმინოლოგიის სტანდარტის დამდგენლები, ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზის შემქმნელები, დარგის ლექსიკოგრაფები და ა.შ.),
- ტერმინოლოგიური მასალის მიმწოდებლები (მაგალითად, ლექსიკონების გამომცემლები, ონლაინინფორმაციის მომსახურება და ა.შ.) და, ზოგადად,
- ნებისმიერი მოქალაქე.

ტერმინოლოგიურ ნაწარმოებში ძირითადად შედის:

- სხვადასხვა სახისა და მოცულობის ტერმინოლოგიური მასალა სხვადასხვა მიზნისა და მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისათვის;
- სხვადასხვა მიზნისათვის საჭირო ტერმინოლოგიური მიდგომები.

ტერმინოლოგიური მონაცემები (თუკი მასში შედის ტერმინოლოგიური დოკუმენტაცია) მოიცავს მონაცემთა სამ განსხვავებულ ძირითად სახეობას (ერთ- და მრავალენოვანს):

- საკუთრივ ტერმინოლოგიურ მონაცემებს (ანუ ინფორმაციას არადარგობრივ ცნებებსა და მათ ენობრივ და არაენობრივ საშუალებებით გამოსახვაზე, რომლებსაც ავსებს მასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი მონაცემი);
- ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს ტერმინოლოგიის სფეროში სხვადასხვა სახის გამოცემების შესახებ;
- არსებულ მონაცემებს დაწესებულებების, ექსპერტების, პროგრამების, ღონისძიებებისა და სხვა მუშაობის შესახებ ტერმინოლოგიის სფეროში.

მონაცემთა თითოეულ ამ სახეობას ესაჭიროება განსხვავებული ბაზები (რომლებიც მოიცავს განსხვავებული ბაზების წყებას ან ერთ გაერთიანებულ მონაცემთა ბაზას, რომელშიც შედის მონაცემთა რამდენიმე სხვადასხვა სახეობა). ტერმინოლოგიური ინფორმაციისა და დო-

კუმენტირების ცენტრმა უნდა იმუშაოს მონაცემთა ბაზების სისტემების ამ სამ ძირითად სახეობაზე, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა მიზნისათვის მონაცემთა კარგად განსაზღვრული კატეგორიების საფუძველზე (მონაცემთა ნებისმიერი მოცემული სახეობა „საინფორმაციო ობიექტებზე“ დაყრდნობით საჭიროებს დოკუმენტირებას). ამგვარ სისტემებში გადმოტანილი და შენარჩუნებული მონაცემები, შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან ერთად, ასევე გამოიყენება სხვადასხვა სახის „ნაწარმოების“ შესაქმნელად და შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს სხვადასხვაგვარ „მომსახურებას“.

ფორმალური თვალსაზრისით, ტერმინოლოგიური მონაცემები წარმოადგენს სპეციალურ ცოდნას ცნებების შესახებ და შეიძლება საზოგადოებას მიეწოდოს:

- ბეჭდური სახით (მაგალითად, ბეჭდური ლექსიკონი, გლოსარიუმი, სიტყვანი და ა.შ.);
- ელექტრონული გამოცემით (რომელიც მოიცავს მხოლოდ ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა მოცემულ ფორმატში ან დაკავშირებულია ტექნიკასა და პროგრამულ უზრუნველყოფასთან ისევე, როგორც ელექტრონული ლექსიკონი);
- ონლაინსაინფორმაციო მომსახურების მეშვეობით;

ხელისგულისხმობენ კომპიუტერებში ან უფრო პატარა, ჯიბის ელექტრონულ ლექსიკონებში, ტერმინოლოგიური მონაცემები შეიძლება განთავსდეს ისე, რომ უშუალოდ იყოს დაკავშირებული შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან ან შესაბამის მოწყობილობასთანაც კი.

ტერმინოლოგიური მონაცემები შეიძლება მიიღონ მომხმარებლებმა ტერმინოლოგიური ბაზრიდან მხოლოდ შიდა მოხმარების ან კვლავ მოხმარებისათვის ტერმინოლოგიური მონაცემების ურთიერთგაცვლისას. და მაინც, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული ხარისხის სირთულისა და სიზუსტის ტერმინოლოგიური მონაცემები სჭირდება გარკვეული მიზნით, ამიტომაც უფრო ეკონომიურია სხვადასხვა დანიშნულების ტერმინოლოგიური მონაცემების მომზადება განსხვავებული მოხმარებისა და მომხმარებლისათვის, რომელთა საჭიროებებშიც შედის გამართული სამომხმარებლო ინტერფეისები შემკვეთის მოთხოვნების გათვალისწინებით. ტერმინოლოგიური მონაცემები ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ძალიან შედეგიანად, როგორც ძირითადი ინფორმაცია, რომლის ირგვლივაც შეიძლება დავალაგოთ დარგობრივი ენციკლოპედიების მონაცემები.

ტერმინოლოგიისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა გვაწვდის ყველაზე ზოგად საშუალებებს ტერმინოლოგიური მონაცემების სხვადასხვაგვარად დასამუშავებლად. არსებობს სხვადასხვა სახის **ტერმინოლოგიის მართვის სისტემები**, რომლებიც საგანგებოდაა შექმნილი ტერმინოლოგიური მონაცემების პროფესიულად ჩასაწერად, შესანახად, დასამუშავებლად და გამოსაშვებად სხვადასხვა მიზნით. **ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზები** შედგება ტერმინოლოგიური მონაცემებისა და ტერმინოლოგიის მართვის სისტემისაგან, რომ-

ლითაც უნდა დამუშავდეს ეს მონაცემები. ზოგჯერ ტერმინოლოგიურ მონაცემთა დიდი ბაზები იქმნება მეტ-ნაკლებად განვითარებულ საორგანიზაციო ან ინსტიტუციურ უწყებაში, რომელიც ჩამოყალიბებულია დიდი მოცულობის ტერმინოლოგიური მონაცემების შეგროვებისა და მრავალი მომხმარებლისათვის შესანახად. პერსონალური კომპიუტერისათვის განკუთვნილი ტერმინოლოგიის მართვის სისტემების უმრავლესობას იყენებს ცალკეული მომხმარებელი, ასევე მცირე გაერთიანებები (რომლებიც მოიხმარებ ან არ მოიხმარენ შესაბამის ადგილობრივ ქსელს) ან დიდი განყოფილებები (სადაც ცალკეული სამუშაო არეალი ჩვეულებრივ დაკავშირებულია მეტ-ნაკლებად განვითარებულ ადგილობრივ ქსელთან ან ინტერნეტთან).

ტერმინოლოგიის მართვის სისტემები სულ უფრო ხშირად გარდაიქმნება სხვადასხვა დანიშნულების საშუალებებად, როგორებიცაა:

- კომპიუტერული თარგმანი;
- სამეცნიერო და ტექნიკური ავტორობა (ტექნიკური დოკუმენტაციის ჩათვლით);
- სათადარიგო ნაწილების განკარგვა;
- ელექტრონული ვაჭრობა და ა.შ.

მეორე მხრივ, სხვადასხვა ხარისხის ტერმინოლოგიის მართვის სისტემის მოდულები გამოიყენება ყველა სახის გამოყენებითი პროგრამის უზრუნველყოფაში და ამგვარად ფართოვდება მათი გამოყენების სფეროები. მათ სულ უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო მუშაობაში და ამგვარად პოულობენ ბაზრებს, კერძოდ:

- ერთობლივი ტექნიკური წერისას (ტექნიკური რედაქტორები);
- დოკუმენტირებისას (ინფორმაციისა და დოკუმენტაციის, ასევე არქივებისა და შენახვის გაგებით);
- შეთანხმებული ტერმინოლოგიური მუშაობისას.

კომპიუტერით შესრულებული შეთანხმებული (და ქსელზე დაფუძნებული გადანაწილებული) ტერმინოლოგიური მუშაობით ტერმინოლოგიური მონაცემების მომზადება, დამუშავება და შენახვა შეიძლება უფრო სწრაფად, უფრო შედეგიანად და თანამედროვე ხარისხის ზედამხედველობით.

ამჟამად არსებობს შემდეგი ტერმინოლოგიური მომსახურება:

- ტერმინოლოგიური კონსულტაციებისა და სწავლებისა;
- ტერმინოლოგიური ამოცანების გარემომსახურებისა;
- ტერმინოლოგიის საინფორმაციო მომსახურება.

საკონსულტაციო მომსახურება და სწავლება ყველაზე ხშირად საჭიროა გამოყენების თვალსაზრისით, როგორებიცაა:

- ტერმინოლოგიური დებულებებისა და მეთოდების გამოყენება (მათ შორის, განსაკუთრებით, არსებული სტანდარტების ტერმინოლოგიურ დებულებებთან და მეთოდებთან მისადაგება ისევე, როგორც მათთან დაკავშირებულ სტანდარტებთან);
- პროგრამების შერჩევა და გამოყენება (მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფა მრავალენოვანი მონაცემების დასამუშავებლად);
- ტერმინოლოგიური პროექტის მართვა და ა.შ.

დარგის თანამედროვე ექსპერტებს ხშირად შესწავლილი არ აქვთ ლოგიკისა და შემეცნების ფუნდამენტური თეორია, რომელიც საფუძვლად უდევს მეცნიერების ფილოსოფიას ან საინფორმაციო მეცნიერებას. მათ სჭირდებათ მომზადება ტერმინოლოგიური მეცნიერებისა და ტერმინოგრაფიის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებში. დიდ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ხშირად ესაჭიროებათ ტერმინოლოგიური მეთოდებისა და პროგრამების დანერგვა თავიანთ საინფორმაციო თუ ხარისხის მართვის სისტემებში. მრავალ ქვეყანაში სამთავრობო უწყებებს და სხვა საჯარო ორგანოებს სურთ ცოდნის გადაცემის მხარდაჭერა, რასაც დიდად წაადგებოდა ტერმინოლოგიის დაგეგმვის სათანადო მეთოდები. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ასევე ხშირად ესაჭიროებათ კონსულტაცია იურიდიული საკითხების შესახებ (განსაკუთრებით, რაც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან), რომელიც ეხება ტერმინოლოგიური მონაცემებისა და პროგრამების გამოყენებას.

სხვადასხვა სახის დაწესებულებები და ორგანიზაციები სულ უფრო მეტად მიიჩნევენ გარემომსახურებას შესაბამის მეთოდად გარკვეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. გარემომსახურება შეიძლება შეეხოს, მაგალითად:

- შეკვეთილ კვლევასა და განვითარებას ახალი საშუალებებისა და პროგრამების შესახებ;
- არსებული საშუალებების შერჩევას, როგორებიცაა:
 - ტერმინოლოგიის მართვის სისტემის ან ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზის შექმნა და ამოქმედება;
 - მეტაბრაუზერები საცნობარო (საინფორმაციო) ქსელებისათვის და ა.შ.
- შეკვეთილი ტერმინოლოგიური მუშაობა ითვალისწინებს:
 - ტერმინოლოგიის მომზადებას;
 - ტერმინოლოგიის მოწესრიგებას (მათ შორის, გადასინჯვასა და განახლებას);
 - ტერმინოლოგიური მონაცემების გადატანას ან გაერთიანებას;
 - ტერმინოლოგიური მონაცემების შეფასებასა და დამტკიცებას და ა.შ.
- მოვლა-პატრონობა ითვალისწინებს:
 - ტერმინოლოგიის მართვის სისტემების მოვლასა და განახლებას;

- მოცულობითი მონაცემების მოვლას და ა.შ.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის სფეროში არსებული ზოგადი ვითარების მსგავსად, სულ უფრო მეტი ტერმინოლოგიური ნაწარმოები და მომსახურება ხდება ხელმისაწვდომი ან თან ახლავს ნებისმიერი სახის საინფორმაციო მომსახურებას, რომელიც ხელმისაწვდომია ბაზარზე. ამასთანავე, ისინი სულ უფრო მეტად დაინერგება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სხვა პროგრამებში.

სხვადასხვა საჭიროების მქონე მომხმარებელთა ჯგუფებისათვის არ უნდა გამოირიცხოს საბაზრო და ფასიანი საინფორმაციო ქსელების ჩამოყალიბება შემდეგი ტერმინოლოგიური მონაცემების მისაწოდებლად:

- საკუთრივ ტერმინოლოგიური მონაცემები;
- დამატებითი ღირებულების მქონე ტერმინოლოგიური ნაწარმოები და მომსახურება.

მომხმარებლებს მოუწევთ საფასურის გადახდა ტერმინოლოგიური ნაწარმოებისა და მომსახურებისათვის, თუმცა, რაც უფრო მეტ მომხმარებელს შეეძლება არჩევანის გაკეთება ტერმინოლოგიური ნაწარმოებისა და მომსახურების მზარდი მრავალფეროვნებიდან, მით უფრო ხელმისაწვდომი გახდება ეს მომსახურება.

ეროვნული ტერმინოლოგიური მოწყობა, ცენტრალური თუ ადგილობრივი, სრულად უნდა თანამშრომლობდეს კერძო მუშაობასთან ისე, რომ უწევდეს მათ ტერმინოლოგიურ დახმარებას და წარმართავდეს სწავლებას (იხ. 3.1). საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე მომუშავე ექსპერტები უნდა დაეხმარონ მათ საბოლოო ნაწარმოების რედაქტირებასა და დასრულებაში, მის გამოქვეყნებასა და გავრცელებაში. რაც უფრო ღრმად იქნება გააზრებული ტერმინოლოგიის პოლიტიკა, როგორც მრავალენოვანი და საყოველთაო, მით უფრო მეტად გაიზრდება შესაძლო გამოყენების არეალი.

ეროვნული ტერმინოლოგიის პოლიტიკა უნდა დაიგეგმოს და დაინერგოს საჯარო დაწესებულებების მიერ ან უნდა დაევალოს კერძო სექტორში მომუშავე ორგანიზაციებს (ან კომერციულ საკონსულტაციო უწყებებს ან არაკომერციულ არასამთავრობო ორგანიზაციებს).

4 ტერმინოლოგიის პოლიტიკის მომზადება, შემუშავება და დანერგვა

წინამდებარე სახელმძღვანელო დებულებები ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც თავიდან ბოლომდე ტერმინოლოგიური ხასიათისაა. ასეთი ტერმინოლოგიის პოლიტიკა არსებობს, მაგალითად, სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც ნაწილი საინფორმაციო პოლიტიკისა ან ისეთი პოლიტიკისა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების საინფორმაციო საქმიანობასთან. საჯარო და კერძო დაწესებულებები, ჩვეულებრივ, შეიმუშავებენ მრავალ წესს, შეთანხმებასა და სახელმძღვანელო მითითებას, რომლებიც ინფორმაციის შეგროვებისა და დაცვისთვისაა გამიზნული და ეს მათ სჭირდებათ თავიანთი კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ამოცანებისათვის. მრავალი ასეთი წესი, შეთანხმება და სახელმძღვანელო დებულება წარმატებითაა გამოყენებული, მიღებულია გარკვეული სამუშაოს შესრულებისა და განვითარების საზომად და მაინც, მათი გამოცალკევება ქაოსურ ვითარებას გვაძლევს და საკმაოდ ხშირად ისინი უგულებელყოფენ ტერმინოლოგიის ძირითად როლს. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და შერწყმის კვალად ეს საკითხები კიდევ უფრო რთულდება. მართალია, ეს „სახელმძღვანელო დებულებები“ ეხება ტერმინოლოგიის პოლიტიკას, მაგრამ მისი განხორციელება და მართვა სხვა პოლიტიკასთან ერთად არ უნდა უგულებელვყოთ.

ეროვნული საინფორმაციო და ცოდნის პოლიტიკის ჩამოყალიბების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ტერმინოლოგიის პოლიტიკის განვითარების საფეხურები, ამ „სახელმძღვანელო დებულებების“ მიხედვით, მოიცავს:

- I საფეხური - ტერმინოლოგიის პოლიტიკისათვის მომზადება;
- II საფეხური - ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება;
- III საფეხური - ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელება;
- IV საფეხური - ტერმინოლოგიური მოწყობის შეუფერხებელი მუშაობა და ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელების გზები.

ეს სქემა ქვეყნის ან ენობრივი საზოგადოების ტერმინოლოგიაზეა გათვლილი, გაცილებით რთულია მისი განხორციელება ქვედა საფეხურებზე ან ორგანიზაციულ გარემოში.

მკაცრი ზედამხედველობისა და შეზღუდული განრიგის მნიშვნელობა პროექტის შედეგებისათვის იზრდება 1-ელი საფეხურიდან მე-3 საფეხურამდე. უფრო მეტიც, საჯარო ზედამხედველობის დონე შესაძლოა გაიზარდოს ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელების სხვადასხვა საფეხურზე. არსებული მონაცემების მიხედვით შესაძლებელია ქვემოთ წარმოდგენილი საფეხურებისა და ამოცანების კიდევ დაყოფა. ნიშანდობლივია, რომ ეს საფეხურები და ამოცანები, ალბათ, განხორციელდება არა თანმიმდევრობით, არამედ შეიძლება გადაფაროს

ერთმანეთი და ზოგჯერ ერთდროულადაც განხორციელდეს. ამის კვალად, პროექტის ზედმიწევნითი დაგეგმვა, რაც საშუალებას მისცემს პროექტის ხელმძღვანელებს, მართონ ნათლად ჩამოყალიბებული ამოცანები, შედეგები და ვადები, პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილები, არსებითი პროგრამის წარმატებისათვის. პროექტის სამართავი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შეესაბამება ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელებას, მნიშვნელოვნად დაგვეხმარება რთული სამუშაოს ჩატარების დაგეგმვისა და ზედამხედველობისას.

ამ სამუშაოს ნებისმიერ საფეხურზე მსოფლიოში არსებული მაგალითებისა და გამოცდილების შესწავლა უაღრესად სასარგებლო იქნება სხვებისთვის დაბრკოლებად ქცეული საფრთხეებისა და სირთულეების თავიდან ასაცილებლად.

4.1 I საფეხური – ტერმინოლოგიის პოლიტიკისათვის მომზადება

რადგანაც ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ძალიან რთული საქმეა, ის გულდასმით უნდა მომზადდეს. მომზადების საფეხური შეიძლება მოიცავდეს:

- ენობრივი და ტერმინოლოგიური გარემოსა და არსებული კანონმდებლობის შეფასებას;
- ენობრივი ცნობიერების შესაქმნელ ღონისძიებებსა და ძალისხმევას ამ ღონისძიებების ოფიციალური აღიარების მისაღწევად;
- მეთოდოლოგიის შემუშავებას და არსებულ თუ შესაძლებელ ღონისძიებებს;
- წინასწარი დოკუმენტების მომზადებას;
- ეროვნული კონსულტაციის მოწყობას.

4.1.1 ენობრივი და ტერმინოლოგიური გარემოს შეფასება

მოცემულ ენობრივ, ასევე თანამედროვე და მომავალ სპეციალისტთა საზოგადოებებში საჭიროა დარგობრივი ენის განვითარების სრულად შეფასება, რომელშიც ასახული იქნება დარგობრივი ენის გავლენა ან ურთიერთქმედება სხვა პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებზე, საბოლოოდ კი - ენობრივი საზოგადოების დამოკიდებულება ენისა და ტერმინოლოგიის მიმართ. შეფასებისას უნდა დადგინდეს მთავარი დაინტერესებული მხარეები და განისაზღვროს ნებისმიერი საზოგადოებრივი თუ ფსიქოლოგიური დაბრკოლება, რომელიც შესაძლოა შეექმნას ტერმინოლოგიის პოლიტიკას. უნდა გამოიყოს სხვა ხელშესახები თუ არახელშესახები მხარეები ისევე, როგორც სხვა სირთულეები, რომელთა გადალახვაც მოგვიწევს. შეფასებაში ასევე უნდა შევიდეს პირდაპირი და ირიბი სარგებელი და ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიახლოებითი ღირებულება. უფრო მეტიც, ცხადად უნდა ჩამოყალიბდეს ტერმინოლოგიის პოლიტიკის მიზნები და მოცულობა, ასევე, მისი განხორციელების ალტერნატიული საშუალებები, რათა სრულად შეფასდეს არსებითი ვითარება და შესაბამისი დასკვნები გაკეთდეს. ამ პროცესს შეიძლება ჰქონდეს თემატური კვლევის სახე ან თუნდაც მოიცავდეს მას.

ეს თავდაპირველი მომზადება გულისხმობს კვლევას ნორმატიულ-სამართლებრივი და პოლიტიკური ბაზის შესახებ ინფორმაციის თვალსაზრისით (საკონსტიტუციო სამართალი, ზოგადი სამართალი, ზედამხედველობის საშუალებები, მიღებული საკანონმდებლო აქტები, ეროვნული მითითებები, ბრძანებულებები და ა.შ.). იგი შეიძლება გამოვიყენოთ გადაფარვითი ხასიათის შეუსაბამობებისა და წინააღმდეგობების წარმოსაჩენად მოქმედ სამართლებრივ ნორმებსა და წესებში.

ამგვარად შეგროვებული ინფორმაცია სამ ძირითად მიზანს ემსახურება:

- ტერმინოლოგიის ეროვნული პოლიტიკის საჭიროების წარმოჩენას;
- იმის შეფასებას, თუ რამდენად აცნობიერებენ პროფესიონალები და, საერთოდ, მომხმარებლები ამ საჭიროებას, და
- ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოვლენას არსებულ პოლიტიკაში.

საცნობარო დოკუმენტებში უნდა შედიოდეს შემდეგი:

- ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული გარემოს წარდგენა;
- ძირითადი ეროვნული მიზნების შეფასება (რომლებიც მოიცავს პოლიტიკურ და დარგობრივ უპირატესობებს ეროვნული განვითარების გეგმაში);
- მოცემული ენობრივი საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შეფასება;
- ეროვნული ტერმინოლოგიური და ენობრივი შესაძლებლობების შეფასება, მათ შორის, სხვადასხვა ტერმინოლოგიის სტატუსის შესწავლა თითოეულ ენაში;
- ძირითადი ტერმინოლოგიური და ენობრივი დაწესებულებების, მათი შესაძლებლობებისა და მომსახურების შეფასება;
- ეროვნული მომხმარებლების შეფასება: ინსტიტუციური და ინდივიდუალური მომხმარებლების ძირითადი სახეობები, მათი საჭიროებანი და ტერმინოლოგიური მოთხოვნები;
- არსებული ენობრივი პოლიტიკის მდგომარეობის შეფასება: ამ პოლიტიკის მოცულობა და მასშტაბები, მათი შემუშავებისა და განხორციელების გზები და მათი შეუსაბამობები;
- დასკვნა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ტერმინოლოგიის პოლიტიკის საჭიროება და აღწერილია გაცნობიერების დონე და მის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი სიძნელეები.

მოსამზადებელ საფეხურზე გასაწევი სამუშაო უნდა შესრულდეს, პირველ რიგში, დარგის სპეციალისტების მიერ, რომლებიც ერთად იმუშავენ კომიტეტებსა თუ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფში ხელმძღვანელ პირთან, ჯგუფთან ან დაწესებულებასთან ურთიერთშეთანხმებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იდეების ჩამოყალიბებასა და შედეგების

წარდგენას ყველა დაინტერესებული მხარისა და გადაწყვეტილების მიმღებისათვის ნათლად და ადვილად გასაგებად.

4.1.2 ღონისძიებები ცნობიერების ასამაღლებლად და ძალისხმევა აღიარების მოსაპოვებლად

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ოფიციალური მხარდაჭერა ან თუნდაც ოფიციალური წახალისება უნდა მოვიპოვოთ ტერმინოლოგიის პოლიტიკის მომზადების, შემუშავებისა და განხორციელების საწყის საფეხურზე. ამ კრიტერიუმს ხშირად სჭირდება ისეთი ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც ემსახურება ცნობიერების ამაღლებას ოფიციალური ნდობის ან აღიარების მიღებამდე, რაც ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელების მოსამზადებელ პირობას წარმოადგენს. ცნობიერების ამაღლების ღონისძიება შესაძლოა შეიცვალოს დროდადრო. მიზანშეწონილია, რომ დასაწყისშივე ჩართული იყვნენ ადმინისტრატორები, გადაწყვეტილებების მიმღებები, კანონმდებლები და დარგის სპეციალისტები, ასევე, საზოგადოებისათვის ცნობილი პირები და მედია. აქტიური მხარდაჭერა ისეთი მნიშვნელოვანი პირებისაგან, რომელთათვისაც გასაგებია პროექტის მიზნები, არსებითი იქნება სამომავლო სამუშაოსთვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად.

ამ ძალისხმევის შედეგად შესაძლოა, გარკვეულწილად, რაიმე არსებული დოკუმენტების გამოვლენა (ნაშრომების, გამოკვლევების და ა.შ.), უნდა შეგროვდეს უცხოური მაგალითები და გამოცდილება და მიეთითოს იმ ხარვეზებზე, რომელთა დაძლევა საჭიროა ადგილობრივი ენობრივი და ტერმინოლოგიური გარემოს შესაფასებლად.

4.1.3 რჩევები მეთოდოლოგიისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

როგორც კი დასრულდება კვლევა-შეფასებები და გაირკვევა პროგრამის მიზნები და მოცულობა, უნდა მომზადდეს დაწვრილებითი გეგმა, რომელშიც მიეთითება სათანადო გამოსაყენებელი მეთოდოლოგია და გასატარებელი ღონისძიებები. ერთი მხრივ, ეს მეთოდები და ღონისძიებები შესაძლოა საგრძნობლად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ენობრივი საზოგადოების მიხედვით, მეორე მხრივ, დარგის სპეციალისტებისა და მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით. მათ ასევე უნდა შევხედოთ არსებული ან საჭირო შესაძლებლობებისა და უნარების თვალსაზრისით. უცხოეთიდან აღებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებისა და გამოცდილების გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია ამ საქმეში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ადგილობრივად მოსაფრთხილებელი საკითხებიც.

ამ საფეხურზე შემუშავებულმა წესებმა ნათლად და მკაფიოდ უნდა შეუწყოს ხელი მომდევნო საფეხურზე გადაწყვეტილების მიღებას.

4.1.4 წინასწარი დოკუმენტების მომზადება

წინასწარი დოკუმენტების მომზადება სამ ძირითად მიზანს ემსახურება:

- არსებულ რესურსებსა და შესაძლებლობებთან კვლევისა და შეფასების შედეგების საბოლოო გამთლიანებას;
- ტერმინოლოგიის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე სახელმწიფოს (ან ენობრივი საზოგადოების) მასშტაბით გასამართი საჯარო კონსულტაციებისათვის საფუძვლის უზრუნველყოფას.

მიმდინარე ვითარების შეფასების შედეგებმა, როგორც ეს მოცემულია 4.1.1-ში, თავი უნდა მოიყაროს ერთ ან რამდენიმე მოკლე საცნობარო დოკუმენტში, რომლებშიც ნაჩვენებია და განხილული იქნება არსებული მიგნებები იმ არსებითი რთული არეალების დასადგენად, რომელთაც, სავარაუდოდ, ყველაზე მეტი გავლენა ექნებათ ენისა და ტერმინოლოგიის სახელმწიფო პოლიტიკაზე. თავმოყრილი კვლევა, ზემოხსენებულ საცნობარო დოკუმენტებთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო განხილვისათვის მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, როგორც ძირითადი სამუშაო დოკუმენტ(ებ)ი ამ საფეხურზე განსახილველად. ზოგიერთ ქვეყანაში ამჯობინებენ, რომ საცნობარო ნაწილმა და კვლევამ ერთ დოკუმენტში მოიყაროს თავი, მაგრამ ასეთი არჩევანი ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას კონსულტაციებზე.

რაც შეეხება ამ დოკუმენტების გაფორმებასა და წარმოდგენას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხარტად და მკაფიოდ ჩამოყალიბებას ისე, რომ არასპეციალისტები (ადმინისტრატორები, გადაწყვეტილების მიმღებები, კანონმდებლები და, რაც მთავარია, საზოგადოება) ადვილად ჩასწვდნენ მათ მნიშვნელობას.

4.1.5 კონსულტაციების მოწყობა ადგილობრივი მასშტაბით

იმის მიხედვით, რეალურად რა ვითარება გვაქვს მოცემულ ენობრივ საზოგადოებაში, მთელი ქვეყნის ან ადგილობრივი მასშტაბით გამართული საჯარო კონსულტაციები შეიძლება ჩატარდეს უფრო გვიან ან განმეორდეს ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ნებისმიერი ძირითადი საფეხურის მიმდინარეობისას.

ამგვარ კონსულტაციებს განსხვავებული მიზნები აქვთ, ამიტომაც განსხვავებული სახისაა, კერძოდ:

- შეხვედრები;
- ინტერვიუები;
- კვლევები (მაგალითად, კითხვარების მეშვეობით).

კონსულტაციების შედეგები უნდა ჩაიწეროს, შეჯამდეს და გახდეს ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავებისა და ნებისმიერი თანმხლები მხარდამჭერი ღონისძიების შემადგენელი ნაწილი.

4.2 II საფეხური -- ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება

1-ელ საფეხურზე გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრებისთანავე შედეგად მიღებული ნდობის საფუძველზე შესაძლებელია ეროვნული ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება. ეს საფეხური მოიცავს:

- ტერმინოლოგიის პოლიტიკის გეგმის პროექტის შედგენას;
- ტერმინოლოგიის პოლიტიკის სხვადასხვა პოლიტიკასთან თანამშრომლობის გეგმის შედგენას;
- პროექტის განხორციელების გეგმისათვის მზადებას;
- საბოლოო პოლიტიკის საპროექტო ვერსიის წარდგინებას (დოკუმენტი და განხორციელების გეგმა);
- გადაწყვეტილებას საბოლოო პოლიტიკის შესახებ (დოკუმენტი და განხორციელების გეგმა).

ზოგიერთ ქვეყანაში ტერმინოლოგიური ინფორმაცია ხშირად მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, შესაბამის საინფორმაციო წყაროებსა და მომსახურებას გულისხმობს. ტერმინოლოგია სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ტერმინოლოგია უნდა განვითარდეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის კვალდაკვალ, მათ ერთად მნიშვნელოვანი საბაზრო ღირებულება აქვთ და შეუძლიათ ემსახურონ ქვეყნის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას.

4.2.1 ტერმინოლოგიის პოლიტიკის წინადადების შედგენა

მოსალოდნელია, რომ ასეთი მიდგომით განვითარებულმა ტერმინოლოგიის პოლიტიკამ უზრუნველყოს ქვეყნის ან ენობრივი საზოგადოების ტერმინოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მწირი შესაძლებლობები იძლევა. ტერმინოლოგიის პოლიტიკის საპროექტო წინადადებაში დასახული ამოცანები, მოცულობა, სარგებელი, ძირითადი დაინტერესებული მხარეები და მიმართულებები ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელებისას უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ ამან ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღებას. ამ ეტაპზე შესაძლოა სასარგებლო იყოს პროექტის ცალკეული ნაწილების შეფასების დაწყება, რაშიც ბევრი შესაბამისი პირი იქნება ჩართული, რათა გამოვლინდეს ისეთი საკითხები, რომლებიც მანამდე გამოგვრჩა ან ვერ შევაფასეთ სათანადოდ.

4.2.2. ტერმინოლოგიის დაგეგმვასა და სხვა სახელმწიფო სტრატეგიებს შორის კოორდინაცია

საყოველთაო ინფორმაციისა და განათლებული საზოგადოების ბოლოდროინდელმა მნიშვნელოვანმა წინსვლამ საგრძნობლად განავითარა მთავრობათა დამოკიდებულება ინფორმაციის გავრცელების მიმართ, აიძულა ისინი, გადაეხედათ თავიანთი უპირატესი ეროვნული ამოცანებისათვის და ჩამოეყალიბებინათ ახალი პოლიტიკა. დღესდღეობით გადაწყვეტილებების მიღებასა და დაგეგმვას სჭირდება მონაცემები ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან, რაც მოითხოვს ტერმინოლოგიას სოციალურ, ფინანსურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ სფეროებში. ამგვარად, ტერმინოლოგიის პოლიტიკას უნდა შევხედოთ არა როგორც რაღაც ცალკე მდგომ საგანს, არამედ როგორც დოკუმენტს, რომელიც შეთანხმებულია განვითარების საერთო სამოქმედო გეგმასთან ან პოლიტიკასთან და/ან სხვა განვითარების სამოქმედო გეგმასთან ან პოლიტიკასთან. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია, თუ გაცხადდება, რომ ტერმინოლოგიის პოლიტიკა ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- ტერმინოლოგიის პოლიტიკის ბმას საყოველთაო განვითარების პოლიტიკასთან;
- ტერმინოლოგიის პოლიტიკის, როგორც ეროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიების, გამოკვეთას (ამგვარად ზუსტდება ძალთა და შესაძლებლობების საჭიროება);
- მითითებების მიცემას სამთავრობო უწყებებისა და კერძო გაერთიანებებისათვის, ასევე - არასამთავრობო და არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის რესურსებისა და მომსახურების მართვის თაობაზე;
- საფუძვლის შექმნას ტერმინოლოგიის პოლიტიკის სამომავლო გადასინჯვისათვის შეცვლილი ვითარების კვალდაკვალ;
- ტერმინოლოგიის პოლიტიკის ბმას სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანისა და მრავალენოვნების შესაძლებლობის პოლიტიკასთან;
- სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ პოლიტიკაზე ტერმინოლოგიის პოლიტიკის გავლენის გაშუქებას.

დოკუმენტი ამ ურთიერთშესატანხმებელი საკითხების შესახებ შესაძლოა დაერთოს ტერმინოლოგიის პოლიტიკის გეგმას.

4.2.3 განხორციელების გეგმა

რეგიონული და ეროვნული ტერმინოლოგიის დაგეგმვისა და ქსელების შეუფერხებელი განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული მოწყობის ყველა სახეობის არსებობაზე. სულ უფრო აშკარაა, რომ რეგიონული და ეროვნული თანამშრომლობისას შესაბამისი რესურსებისა და მომსახურების მიმართ სწორი ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და

განხორციელება ხელს შეუწყობს ტერმინოლოგიური მოწყობის განვითარებასა და მის წვლილს ინფორმაციის სფეროში. ეს ნაბიჯი, ასევე დროული დაგეგმვა და შესაბამის ადამიანურ ძალთა არსებობა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელების გეგმაში. ტერმინოლოგიის პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო თანხების მოთხოვნა უნდა შეეფარდებოდეს ამოცანებს, მასშტაბებსა და მიზნებს, ასევე - მოსალოდნელ სარგებელს. კერძოდ, გეგმაში შევა:

- შესაფერი სამოქმედო გეგმის შერჩევა ამ ამოცანების გადასაწყვეტად, ასევე - ტერმინოლოგიის პოლიტიკის სხვადასხვა მიზნის მისაღწევად დროის მოცემულ მონაკვეთში;
- ტერმინოლოგიის პოლიტიკის სხვადასხვა საკითხის მნიშვნელობის გამოკვეთა;
- ძალთა გადანაწილება შესაბამისი პროგრამების განსახორციელებლად;
- მართვის საშუალებებთან დაკავშირებული გეგმა (ტერმინოლოგიის და სხვა პოლიტიკა).

ტერმინოლოგიის პოლიტიკის მასშტაბისა და ვითარების სირთულის მიხედვით სტრატეგიული მართვის ზემოხსენებული საკითხები უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ კვლევებს, რომლებიც შეეხება:

- ტერმინოლოგიის პოლიტიკასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების გზების დასახვას;
- პოლიტიკის მიზნების მისაღწევი სამოქმედო გეგმის შემუშავებას;
- ფულადი სახსრების უზრუნველყოფას ტერმინოლოგიის პოლიტიკასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად;
- სათანადო ზომების შემუშავებას სამოქმედო გეგმის პერიოდული შეფასებისა და შესწორების მიზნით;

უმეტეს შემთხვევაში განხორციელების გეგმის პროექტი თან უნდა ახლდეს ტერმინოლოგიის პოლიტიკის გეგმას.

4.2.4 პოლიტიკის დოკუმენტებისა და განხორციელების გეგმის წარდგინება

მნიშვნელოვანია განსხვავებული ნაბიჯების განხილვა, რომლებიც საჭიროა პოლიტიკის საბოლოო ტექსტის ჩამოსაყალიბებლად და პროფესიონალთა იმ ჯგუფების წასახალისებლად, რომლებიც მხარს უჭერენ ამ მუშაობას. ტერმინოლოგიის პოლიტიკის ტექსტის საბოლოო ვარიანტი უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შედარებით მოკლე დოკუმენტი, რომელიც

მოგვაწვდის ზუსტ და განახლებულ ინფორმაციას იმ საკითხების შესახებ, რომლებსაც ხელისუფლების ან სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ეს დოკუმენტი საჭიროა:

- როგორც საფუძველი იურიდიული ტექსტის შესადგენად, რომელიც უნდა წარედგინოს ოფიციალურად დასამტკიცებლად;
- რათა უზრუნველვყოთ მისაწვდომი ცნობარი შეთავაზებული ტერმინოლოგიის პოლიტიკის საკითხების შესახებ;
- რათა შევუქმნათ წარმოდგენა ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელების შედეგების შესახებ როგორც განსახორციელებელი ღონისძიებების, ისე საჭირო ძალთა გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ნათლად იყოს ჩამოყალიბებული ქვეყანაში ან ენობრივ საზოგადოებაში არსებული ტერმინოლოგიური ვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები.

დაბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დოკუმენტის გაფორმებას, რადგანაც იგი გამიზნულია, როგორც საცნობარო დოკუმენტი ადმინისტრატორებისათვის, გადაწყვეტილების მიმღებებისა და კანონმდებლებისათვის, რომლებიც არ მუშაობენ ტერმინოლოგიის სფეროში და რომელთა მოვალეობაც იქნება ამ პოლიტიკის დამტკიცება.

არსებითია ისიც, რომ შეირჩეს დროის ყველაზე ხელსაყრელი მონაკვეთი ხელისუფლებისათვის ახალი პოლიტიკის წარსადგენად, მათი მოწონების მოსაპოვებლად და სხვა პოლიტიკასთან შესათანხმებლად. დროის სწორად შერჩევას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს წარმატებისათვის.

4.2.5 ტერმინოლოგიის პოლიტიკის საბოლოო დოკუმენტისა და განხორციელების გეგმის შესახებ გადაწყვეტილება

ტერმინოლოგიის პოლიტიკის საბოლოო ვერსია ოფიციალურად შეიძლება დამტკიცდეს სხვადასხვანაირად:

- კანონის გასაჯაროებით ან მიღებით (ან სხვა სამართლებრივი ნორმით):
 - ტერმინოლოგიის პოლიტიკის საბოლოო დოკუმენტისა და განხორციელების გეგმის გათვალისწინებით;
 - ტერმინოლოგიის პოლიტიკის საბოლოო ვერსიაზე დაყრდნობით (დოკუმენტი და განხორციელების გეგმა);
- განმახორციელებელი ორგანოს ოფიციალური მიღებითა და განხორციელების დაწყების ნებართვით;

- ოფიციალურად დამტკიცების სხვა სახეებით, განსაკუთრებით, როცა არასამთავრობო ორგანიზაციები აყალიბებენ თავიანთ ტერმინოლოგიის პოლიტიკას.

არამართო ისაა მნიშვნელოვანი, რომ ეს დოკუმენტი აღიარონ ადმინისტრატორებმა, პოლიტიკოსებმა, კანონმდებლებმა, გადაწყვეტილების მიმღებებმა (არასამთავრობო და არასამეწარმეო ორგანიზაციებში), საზოგადოებამ და მედიამ, არამედ ისიც, რომ იგი გახდეს ნამდვილი სამოქმედო გეგმა და არა ქაღალდის ნაგლეჯი და რომ ხელმომწერნი მხარს უჭერდნენ მას მისი მოქმედების განმავლობაში.

4.3 III საფეხური -- ტერმინოლოგიის პოლიტიკის დანერგვა

უმეტეს შემთხვევაში წინასწარმომზადებული დოკუმენტები და გეგმები უნდა გარდაიქმნას კონკრეტულ სამოქმედო გეგმებად და სხვა სამოქმედო დასაგეგმავ დოკუმენტებად მე-3 საფეხურზე, რათა ხელი შევეწყოთ პოლიტიკის განხორციელებას. ამ საფეხურზე შესაძლოა იყოს:

- პოლიტიკის განხორციელების საერთო მართვა;
- პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო და საორგანიზაციო დაგეგმვა;
- საყოველთაოდ გავრცელებისა და სარეკლამო სამუშაოების დაგეგმვა.

კვლავაც უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრატორების, პოლიტიკოსების, კანონმდებლების, მედიისა და საზოგადოების ცნობადი სახეების წინასწარი ჩართულობა შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს ტერმინოლოგიის პოლიტიკის უშუალო განხორციელების წარმატებისათვის.

4.3.1 დანერგვის (განხორციელების) მართვა

ენობრივი საზოგადოების სიდიდიდან, არსებული ვითარების სირთულიდან და ტერმინოლოგიის პოლიტიკის მასშტაბიდან გამომდინარე, მისი განხორციელება შეიძლება მართოს:

- ერთმა ან რამდენიმე სამთავრობო დაწესებულებამ;
- კომიტეტმა ან ადამიანების სხვა ჯგუფმა;
- არსებულმა დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ, რომელსაც მინდობილი აქვს ეს ამოცანა;
- ახლად დაარსებულმა დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ.

უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტილება იმ ორგანოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ან სხვა სახის უწყების შესახებ, რომელმაც უნდა მართოს და განახორციელოს ტერმინოლოგიის პოლიტიკა. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მიღებული კვლევების, შეფასებებისა და კონსულტაციების შედეგები. საცნობარო დოკუმენტებისა და სა-

წყისი კვლევების ხარისხი არსებითია. და მაინც, შეხედულებებს რეალური პოლიტიკური ვითარების შესახებ შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ამ გადაწყვეტილებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს სათადარიგო ვარიანტი, თუკი განსაზღვრული ორგანო, დაწესებულება თუ ორგანიზაცია ვერ შეასრულებს სამუშაოს.

4.3.2 დანერგვის (განხორციელების) სამოქმედო და საორგანიზაციო დაგეგმვა

მანამდე ჩატარებულ გამოკვლევებსა და მითითებებზე დაყრდნობით, უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- შესათანხმებელი საშუალებების ჩამოყალიბება;
- სამოქმედო გეგმისა და ღონისძიებების შემუშავება მისი განხორციელებისათვის;
- ადამიანური და ფულადი სახსრების გადანაწილება;
- ზედამხედველობის გზების დასახვა.

ასევე მნიშვნელოვანია, ნათლად გამოიკვეთოს ამოცანები და საფეხურები და განისაზღვროს შედეგები, რომლებიც დაექვემდებარება რაოდენობრივ გაზომვას და იქნება ირიბად სასარგებლო.

სავარაუდოა, რომ განხორციელებას თან ახლდეს შეფასების მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ დროულად შევიტანოთ შესწორებები განხორციელების სამოქმედო და საორგანიზაციო დაგეგმვაში.


4.3.3 პოპულარიზაცია და რეკლამირება

პოლიტიკის განხორციელების საფეხურზე პოპულარიზაცია და რეკლამირება ძალიან მნიშვნელოვანია წარმატების უზრუნველსაყოფად. საბოლოოდ, ტერმინოლოგიის პოლიტიკა ვერ განხორციელდება, თუ საზოგადოების დამოკიდებულება გულგრილი ან მტრულიც კი იქნება ამ პოლიტიკის მიმართ. აქ მნიშვნელოვანია განათლების სისტემის აქტიური ჩართულობა. ნებისმიერ შემთხვევაში პოპულარიზაციისა და რეკლამირების ზომებიც გულდასმითა და უწყვეტად უნდა დაიგეგმოს, წარიმართოს და შეფასდეს. უაღრესად მნიშვნელოვანია არამართო თანამშრომლობა მედიასთან, არამედ ასევე მედიაღონისძიებებისა და აქტივობების გულდასმით დაგეგმვა, რათა დავაკმაყოფილოთ ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებანი და მოლოდინი. მედიის საშუალებით გამოხატვის ფორმები შესაძლოა იყოს: რადიოგადაცემები (სათემო რადიო), თეატრალური ჯგუფები (მაგალითად, ჯანდაცვითი განათლებისათვის, მაგალითად, სოფლად ან ნაკლებად ცნობილ ადგილებში), საცნობაროები (მაგალითად, საავადმყოფოებში) და ა.შ. ინფორმაციის გავრცელების უმნიშვნელოვანეს გზას წარმოადგენს სწავლება ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის.

4.4 IV საფეხური -- ტერმინოლოგიური მოწყობის შეუფერხებელი მუშაობა

საბოლოოდ, ტერმინოლოგიის პოლიტიკა (განხორციელების საფეხურზეც კი, რომელიც მნიშვნელოვანი ეროვნული კაპიტალდაბანდება) ითვალისწინებს ტერმინოლოგიური მოწყობის შეუფერხებელი მუშაობის მომავალს. ტერმინოლოგიის პოლიტიკის განხორციელების გზებში, ასევე ტერმინოლოგიურ მოწყობაში, უნდა იყოს გათვალისწინებული განახლება. მმართველობის ცვლილება ერთ-ერთი მთავარი სამუშაო მოთხოვნაა ტერმინოლოგიური მოწყობის ხელმძღვანელთათვის.

მე-2 ნახაზში მოცემულია მონაკვეთების შეჯამება (ვითვალისწინებთ იმას, რომ მონაკვეთები და ამოცანები შესაძლოა განხორციელდეს არა თანამიმდევრულად, არამედ დაემთხვეს ერთმანეთს და ზოგჯერ ერთდროულადაც განხორციელდეს):



ნახაზი 2: საფეხურების შეჯამება

შეჯამება

წინამდებარე „სახელმძღვანელო დებულებები“ ემყარება მსოფლიოს სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების ქვეყნების ტერმინოლოგიის დაგეგმვისა და ტერმინოლოგიის პოლიტიკის გამოცდილებას. ეროვნული ტერმინოლოგიის პოლიტიკის წარმატების ალბათობა უფრო მყარი იქნება, თუ დაკმაყოფილდება შემდეგი მოთხოვნები:

- იმ საყოველთაო და შეთანხმებული მიდგომების დანერგვა, რომლებიც ღია და პრაქტიკული.
- შესაბამის დაწესებულებებსა და ქსელებში ადამიანურ ძალთა მართვის მტკიცე მხარდაჭერა თანამშრომელთათვის კარიერული დაგეგმვისა და ელექტრონული სწავლები-სათვის;
- ცოდნის მართვის (ცოდნის გაზიარების) სქემის დანერგვა შესაბამისი დაწესებულებებისა და ქსელებისათვის, ასევე - თანამონაწილეთათვის შიდა და საერთაშორისო დონეზე;
- მჭიდრო კავშირი ტექნოლოგიურ სიახლეებსა და ცოდნის გადაცემასთან;
- განათლებისა და ენობრივი ცოდნის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და, განსაკუთრებით, ადამიანის ენის ტექნოლოგიების, სათანადო და შეუფერხებელი გამოყენების ჩამოყალიბება;
- კვლევითი მეთოდებისა და პოლიტიკის გათვალისწინება;
- პროფესიული მართვის, ნდობის, წახალისების, საერთო შეხედულებებისა და თვით-მყოფადობის ჩანერგვა.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება, ასევე მოცემული ენობრივი საზოგადოების რაოდენობა განაპირობებს სხვადასხვა მიდგომის გამოყენებას ტერმინოლოგიის პოლიტიკის განვითარების მიმართ და მაინც, მიუხედავად იმისა, როგორია არსებული ვითარება, არსებობს რამდენიმე საფუძვლიანი მოსაზრება:

1) **დააბანდეთ თანხა ძირფესვიან მომზადებაში** როგორც წინამდებარე გამოცემაშია წარმოდგენილი, მოსამზადებელი კვლევები და მათ შემდგომ გამართული განხილვები ქმნის ტერმინოლოგიის პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა შემდგომი ღონისძიების საფუძველს. ისინი ასრულებენ, როგორც შიდა საცნობარო, ასევე ძირითად მტკიცებულებათა დოკუმენტების როლს, რომლებიც უნდა გავრცელდეს საზოგადოებაში. რაც უფრო დაწვრილებითი და ვრცელია ეს კვლევები, მით უფრო მეტი დრო და ფულადი სახსრები დაიზოგება საბოლოოდ. აქ ასევე არის კავშირი ტერმინოლოგიის პოლიტიკის სააგიტაციო მხარდაჭერასთან როგორც სახელმწიფოს მასშტაბით, ისე საერთაშორისო დონეზე.

2) ისწავლეთ სხვა ქვეყნების გამოცდილება: რასაკვირველია, გულდასმით უნდა შევისწავლოთ განხორციელებული ტერმინოლოგიის პოლიტიკის წარმატებები და საუკეთესო გამოცდილება. თუმცა ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავებისას, დაგეგმვისა და განხორციელებისას შეიძლება უადრესად სასარგებლო იყოს წარუმატებელი მაგალითების განხილვა და მათი შეფასება. ამ დაკვირვებით შესაძლებელი იქნება იმ ჩავარდნების თავიდან აცილება, რომლებიც უკვე ჰქონდათ სხვა ქვეყნებს და, ამგვარად, ვისარგებლებთ საუკეთესო გამოცდილებით.

3) ჩართეთ დაინტერესებული მხარეები: ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ისეთი ღონისძიებაა, რომელსაც მხარი უნდა დაუჭიროს მრავალმა ადამიანმა და დაწესებულებამ. მაშინაც კი, როცა საქმის წამომწყებია მთავარი დაინტერესებული მხარე, ამ საქმეში ჩართულთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს ისე, რომ მოიცვას ყველა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარე და გადაწყვეტილების მიმღები. ისინი უნდა ჩაერთონ საქმეში, რაც შეიძლება ადრე. მნიშვნელოვანია მხარდამჭერი ძალის გამოყენება ჩართულობის ძლიერი სულისკვეთებით, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც შესაძლოა გაჩნდეს, თუ დაინტერესებული მხარეები ჩათვლიან, რომ ისინი უგულვებელყვეს ან ჩამოაშორეს ტერმინოლოგიის პოლიტიკის შექმნას.

4) დანერგეთ თანამშრომლობის მეთოდები: საუკეთესო შედეგები მიიღწევა, განსაკუთრებით ენისა და ტერმინოლოგიის საქმეში, როდესაც ლინგვისტები, ტერმინოლოგები და დარგის სპეციალისტები ერთად მუშაობენ კომიტეტებში, რადგან, ჩვეულებრივ, ამ განსხვავებულ სპეციალისტებს აქვთ ცოდნისა და გამოცდილების განსხვავებული მარაგი, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს რთული ამოცანის გადაჭრაში, ესენია:

- დარგობრივი ცოდნა (ცნებითი ცოდნა);
- ენობრივი ცოდნა (ზოგადი და კერძოენობრივი);
- ტერმინოლოგიური ცოდნა (მუშაობის მეთოდები, რომლებიც შეაკავშირებს ამ ორ წრეს).

და მაინც, ღონისძიებები ისევე, როგორც შესაბამისი სამუშაოს მართვა ქსელში კომპიუტერის მეშვეობით გასაწევი შეთანხმებული მუშაობისთვის, გულმოდგინედ უნდა დაიგეგმოს, რათა იგი ქმედითი და შედეგიანი გახდეს. ამის განხორციელებას შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირდეს.

5) დაიწყეთ ძალთა ზრდა, რაც შეიძლება ადრე: ტერმინოლოგიის პოლიტიკა არ არის გამოწვეული იმისათვის, რომ იგი იყოს უცვლელი გეგმა იმ ცოცხალი და განვითარებადი საშუალებებისათვის, რომლებიც უნდა მივუსადაგოთ ცვალებად გარემოს. ტერმინოლოგიისა და მისი გამოყენების წესებიდან გამომდინარე, მრავალი კარგი განათლების მქონე ექსპერტია საჭირო მის განსახორციელებლად. ამ ექსპერტების განათლებისა და გადამზადების საქმეს, რაც შეიძლება, ადრე უნდა შევუდგეთ, რათა თავიდან ავირიდოთ ტერმინოლოგიის პოლიტიკის წარუმატებლობა.

6) აამაღლეთ ცნობიერება მთელ ენობრივ საზოგადოებაში: მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება ტერმინოლოგიის პოლიტიკა წარმატებულად, თუ მას მიიღებენ და გაეცნობიან ისინი, ვინც, სავარაუდოდ, უნდა ისარგებლოს ამით.

დანართი

(სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინები)

სახელმძღვანელოს უკეთ გასაგებად ქვემოთ მოცემულია მასში გამოყენებული ზოგიერთი ძირითადი ტერმინის ახსნა-განმარტება. ტერმინოლოგიურ მუშაობასთან დაკავშირებული სტანდარტიზებული ტერმინები და მათი დაზუსტებული განმარტებების ლექსიკონი იხ. საერთაშორისო სტანდარტში — ისო 1087-2000.

ადამიანის ენის ტექნოლოგიები: ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობით ენის ცოდნა გამოიყენება იმ კომპიუტერული სისტემების განსავითარებლად, რომელთაც შეუძლიათ ადამიანის ენის ამოცნობა, გაგება, განმარტება და ყველა ფორმის წარმოება-შემუშავება. ტექნოლოგიები ემსახურება იმ აპლიკაციების განვითარებას, რომლებითაც შესაძლებელია, ადამიანებმა პირდაპირი ურთიერთობა დაამყარონ კომპიუტერებთან.

ბუნებრივი ენის დამუშავება: სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოები, რომლის შედეგად იქმნება და იგება პროგრამები იმ ენების კვლევის, გაგებისა და წარმოებისათვის, რომელთაც ადამიანები ბუნებრივად იყენებენ.

განტერმინება: ენობრივი მოვლენა, რომლის დროსაც ტერმინები (დარგობრივი ენის ცნებები) იქცევა ჩვეულებრივ ლექსიკურ ერთეულებად (მაგალითად, სიტყვებად) შესაბამის საერთო მოხმარების ენაში <-> გატერმინება.

გატერმინება: ენობრივი მოვლენა, რომლის დროსაც საერთო მოხმარების ენის ლექსიკური ერთეულები (მაგ., სიტყვები) იქცევა ტერმინებად (დარგობრივი ენის ცნებებად) <-> განტერმინება.

დარგთაშორისი ურთიერთობა: (სინონიმები): დარგობრივი ურთიერთობა, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობა; პროფესიული ურთიერთობა (და არა: ტექნიკური ინფორმაცია); ადამიანებს შორის ურთიერთობა ამა თუ იმ **დარგის** ფარგლებში, რომელიც, გამოყენებითი თვალსაზრისით, მოიცავს სამეცნიერო-ტექნიკურ და ცოდნის სხვა სფეროებს.

დარგი (ამ დოკუმენტში): სამეცნიერო-ტექნიკური ან ცოდნის სხვა სფერო;

დარგობრივი ენა: სინონიმი - სპეციალური ენა; სპეციალისტთა ჯგუფების ენა, რომელშიც გამოყენებულია ტერმინოლოგია (ზოგში - მეტი, ზოგში - ნაკლები) და დარგობრივი ენობრივი მახასიათებლები.

ენის გეგმარება (ენის ინჟინერია): დარგი, რომელიც ამუშავებს ბუნებრივ ენას.

ენის დაგეგმვა (ამ დოკუმენტში): ენის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს მეთოდებისა და მიდგომების ერთობლიობას, მათ შორის, ტერმინოლოგიასა და ლექსიკოგრაფიას, ტერმინოლოგიის მართვას, თარგმანსა და თარგმანის მართვას და სულ უფრო მეტად კორპუსულ მიდგომებს (ტერმინების ამოკრებას, სამეტყველო საზოგადოებებში შექმნილი ნეოლოგიზმების გამოვლენის კორპუსულ ანალიზს და ა.შ.).

შენიშვნა: იმ სხვა სფეროების მსგავსად, რომლებიც ენას ეხება, ადამიანის ენის ტექნოლოგიების გამოყენება სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ენის დაგეგმვაშიც.

ენობრივი ნორმა: დადგენილი ენობრივი წესები, რომლებიც მიჩნეულია მოცემული ენობრივი საზოგადოების საერთო ენობრივ სტანდარტად.

შენიშვნა: შეიძლება არსებობდეს მრავალნაირი სახესხვაობა (როგორცაა დიალექტური), რომლებიც არ ემთხვევა ენობრივ ნორმას.

ენობრივი ურთიერთობა (ამ დოკუმენტში): გულისხმობს ადამიანთა შორის სამეტყველო ან წერილობით (ბგერობრივ) ან არაბგერობრივ ურთიერთობას.

ენობრივი ურთიერთობის დაგეგმვა (ამ დოკუმენტში): დაგეგმვა უკავშირდება ადამიანთა შორის ურთიერთობას (ურთიერთგაგებინებას), რომელიც გულისხმობს **ენის დაგეგმვასა და ტერმინოლოგიის დაგეგმვას**, ვიწრო მნიშვნელობით, ის ენასთანაა უფრო მეტად დაკავშირებული, ფართო მნიშვნელობით კი, ორგანიზაციული, ტექნიკური და მოწყობითი ღონისძიებაა.

ეროვნული ტერმინოლოგიის პოლიტიკა: საჯარო სამოქმედო გეგმა (სტრატეგია), რომელიც შემუშავებულია პოლიტიკური გადაწყვეტილების დონეზე ქვეყანაში ან მეტ-ნაკლებად ავტონომიურ ენობრივ საზოგადოებაში (ერთი ქვეყნის ფარგლებში ან რეგიონში, რომელიც ორი ან მეტი ქვეყნის საზღვრებს მიღმა ვრცელდება); მისი ამოცანაა, განავითაროს ან მართოს ახლად გაჩენილი და უკვე არსებული ტერმინოლოგია განსხვავებული მიზნების გათვალისწინებით.

საერთო მოხმარების ენა: (სინონიმი): ყოველდღიური ენა; ენობრივ საზოგადოებაში ხშირი, ყოველდღიური გამოყენების ენა.

ტერმინოლოგია: ამა თუ იმ დარგის ენაში გამოყენებული ტერმინთა წყება.

ტერმინოლოგიის დაგეგმვა: დაგეგმვა, რომელიც ხელს უწყობს ენის განვითარებას **დარგთაშორისი ურთიერთობის** საჭიროებებისა და მოთხოვნების მიხედვით.

ტერმინოლოგიის მართვის სისტემები: პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შექმნილი და აგებულია ტერმინოლოგიური მონაცემების დასამუშავებლად კონკრეტული მიზნებით, ის სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილია.

ტერმინოლოგიის მონაცემთა ბაზა: მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ერთ- და მრავალენოვან ტერმინოლოგიურ მონაცემებს და ჩამოყალიბებულია ქვეყნის, ენობრივი საზოგადოებისა თუ ადგილობრივ დონეზე შესაბამისი საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე.

ტერმინოლოგიური ბაზარი: ბაზარი, რომელსაც შეადგენენ ტერმინოლოგიური ნაწარმოებისა და მომსახურების მომხმარებლები და მიმწოდებლები.

ტერმინოლოგიური მეცნიერება: სფერო, რომელიც იკვლევს სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის წყობას, შემუშავებას, განვითარებას, გამოყენებასა და მართვას, ქმნის მეთოდოლოგიურ საფუძველს მათი მრავალმხრივი გამოყენებისათვის.

ტერმინოლოგიური მომსახურება: მომსახურება, რომელიც ეფუძნება ისეთი ტერმინოლოგიური მიდგომების, მეთოდების, მონაცემების ან საშუალებების გამოყენებას, როგორებიცაა: შეკვეთილი ტერმინოლოგიური კვლევა, ტერმინოლოგიური კონსულტაციითა და სწავლებით მომსახურება, ტერმინოლოგიური ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ტერმინოლოგიური საქმეებისა და საინფორმაციო გარემომსახურება და ა.შ.

ტერმინოლოგიური ნაწარმოები: ტერმინოლოგიური საქმიანობის შედეგი ნაწარმოების სახით, როგორებიცაა: ჩვეულებრივი ტერმინოლოგიური გამოცემა (ტერმინოლოგიური სტანდარტი, დარგობრივი ლექსიკონი, გლოსარიუმი, სიტყვანი და ა.შ.), მონაცემთა კრებული ელექტრონული სახით (მაგ., ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზა) ან ტერმინოლოგიური ხელსაწყოები.

ტერმინოლოგიური ხელსაწყოები: ტერმინოლოგიის პროგრამული უზრუნველყოფა, როგორცაა, ტერმინოლოგიის მართვის სისტემა, გამოიყენება ტერმინოლოგიური მონაცემების ამა თუ იმ სახით დასამუშავებლად.

ტექნიკური ინფორმაცია: (სინონიმები): ტექნიკური წერა; ტექნიკური დოკუმენტირება; (ამ დოკუმენტში): დოკუმენტების მომზადება, რომლებიც დაწერილია დარგობრივ ენაზე ან ძირითადად შეიცავს დარგობრივი ენის ტექსტს.

ლიტერატურა (რჩეული):

- Antia, Bassey E. *Terminology and Language Planning: an alternative framework of discourse and practice*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins, 2000.
- Bamgbose, Ayo. *Language and the nation. The language question in sub-Saharan Africa*. Edinburgh: Edinburgh University Press, 1991.
- Cobarrubias, Juan; Fishman, Joshua A. [eds.]. *Progress in Language Planning. International Perspectives*. Berlin/ New York: Mouton, 1983.
- Cooper, Robert L. *Language Planning and Social Change*. Cambridge: 1989.
- Department of Arts and Culture of the Republic of South Africa. *National Language Policy Framework. Final Draft*. Pretoria: DAC, 2002.
- Gadellii, Karl Erland. *Language Planning: Theory and Practice. Evaluation of language planning cases world-wide*. Paris: UNESCO, 1999.
- Galinski, Christian; Budin, Gerhard; de V. Cluver, A.D. *Terminologieplanung und Sprachplanung*. In: Hoffmann, L.; Kalverkämper, H.; Wiegand, H. E. [eds.]. *Fachsprachen/Languages for Special Purposes. Ein internationales Handbuch zur Fachsprachenforschung und Terminologiewissenschaft*. Berlin/New York: deGruyter, 1999.
- Laurén, Christer; Myking, Johan; Picht, Heribert. *Language and domains: a proposal for a domain dynamics taxonomy. LSP and professional communication, vol. 2, 2002, p. 23-30*.
- Montviloff, Victor. *National information policies. A handbook on the formulation, approval, implementation and operation of a national policy on information*. Paris: UNESCO (publication PGI-90/WS/11), 1990.
- Rubin, Joan; Jernudd, Björn [eds.]. *Can Language Be Planned? Sociolinguistic Theory and Practice for Developing Nations*. Hawaii: University Press of Hawaii, 1971.
- Sager, Juan C. ; Nkwenti-Azeh, B. *Terminological problems involved in the process of exchange of new technology between developing and developed countries (Study on recent developments in the relationship between science, technology and society in different economic, social and cultural contexts)*. Paris: UNESCO Document No. 59, 1989.
- UNESCO. *Recommendation on the promotion and use of multilingualism and universal access to Cyberspace (32C/Resolution 41)*. Paris: UNESCO, 2003.
- Wright, Sue Ellen; Budin, Gerhard [eds.]. *Handbook of Terminology Management*.

Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing, 1997 (vol. 1), 2001 (vol. 2).

შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები (ისო ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია):

ISO 639-1:2002 Code for the representation of names of languages - Part 1: Alpha-2 code

(ISO 639-1/RA - Registration Authority for the maintenance of the code: Infoterm

http://linux.infoterm.org/infoterm-e/raiso639-1_start.htm)

ISO 639-2:1998 Code for the representation of names of languages - Part 2: Alpha-3 code

(ISO 639-2/RA - Registration Authority for the maintenance of the code: Library of Congress

<http://lcweb.loc.gov/standards/iso639-2/>)

ISO 704:2000 Terminology work - Principles and methods

ISO 860:1996 Terminology work - Harmonization of concepts and terms (under review)

ISO 1087-1:2000 Terminology - Vocabulary - Part 1: General Concepts

ISO 1087-2:2000 Terminology work - Vocabulary - Part 2: Computer applications

ISO 1951:1997 Lexicographical symbols particularly for use in classified defining vocabularies (under revision)

ISO 10241:1992 Preparation and layout of international terminology standards (under revision)

ISO 12199:2000(E) Alphabetical ordering of multilingual terminological and lexicographical data represented in the Latin alphabet

ISO 12200:1999 Computer applications in terminology - Machine-readable terminology interchange format (MARTIF) - Negotiated interchange

ISO 12616:2001 Translation-oriented terminography

ISO/TR 12618:1994 Computer aids in terminology - Creation and use of terminological databases and text corpora (under revision)

ISO 12620:1999 Computer applications in terminology - Data categories

ISO 15188:2001 Project management guidelines for terminology standardisation

ISO 16642:2003 Computer applications in terminology - Terminology Markup Framework (TMF)

მოსამზადებელი საერთაშორისო სტანდარტები:

ISO/AWI 860 Terminology work - Harmonization of concepts and terms (Revision of ISO 860:1996)

ISO/WD 1951 Presentation/Representation of entries in specialized dictionaries (Revision of ISO1951:1997)

ISO/WD 10241 International terminology standards - Preparation and layout (Revision of ISO 10241:1992)

ISO 12615:2004 Bibliographic references and source identifiers for terminology work

ISO/PWI 12620-2 Computer applications in terminology - Data Categories - Part 2: Terminological data categories (Revision of ISO 12620:1999)

ISO/NP 21829 Terminology of language resource management

ISO/PWI 22128 Quality assurance guidelines for terminology products

ISO/AWI 22134 Terminology in sociolinguistic application

ISO/WD 24613 Lexical Markup Framework (LMF)